კვირა, 1917 წ. მარიამობისთვის 20 (2) ფელიეტონი მესამე ფასი 15 კაპ.

საქართველო

მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქ. № 4. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ Сакартвело.
ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15--73

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს **ავტორის** ვინაობა და მისამართი. **უპირობოთ** გამოგზავნილი მასალა **უფასოთ** ითვლება. **დაუბეჭდავი** საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღია არის დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

კონტორა

გაზეთის ფასი პირველ მკათათვიდან წლის დამლევამდე 10 მან. 3 თვით—5 მან., ერთი თვით (მხოლოთ თბილისში) 2 მან. ცალკე № 10 კაპ. **განცხადების ფასი** ტრიბუნა, პეტიტისა პირველ გვერდზე 30 კაპ. უკანასკნელზე—20 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. **სამგლოვიარო განცხადება** თითოჯერ 6 მანეთიდან—10 მანეთამდე—ზომით. **მისამართის გამოცვლა** ღირს ქალაქში 75 კაპ. ქალაქს გარეთ 1 მ. **ფული და წერილები**, რომელიც კონტორას შეეხება უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. **საჩქარო** განცხადებანი **უნდა** მოტანილ იქმნას არა უგვიანეს $1^1/_2$ საათისა **კონტორაში. კონტორა ღია** დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

№ 183 ეროვნულ-დემოკრატიული გაზეთი № 183

გაზეთის შინაარსი

საგულისხმო ცნობები

კავკასიის ფრონტზე რუსებმა ასტერბადისკენ დაიხიეს.

იაპონელები აცხადებენ: რუსეთის სამხედრო შენაკვეთებს ვერ ავასრულებთო.

მთავრობის აზრით თათბირმა მისი მდგომარეობა განამტკიცა.

ფინლანდიაში სეიმის საერთო თათბირი არ მომხდარა.

ფინლანდელები ყინულოვან ოკეანეს ნაპირებს მოითხოვენ გზის გაყვანის სასყიდლათ.

ციმბირელები ციმბირის საოლქო სათათბიროს დაარსებას მოითხოვენ.

წერილები

მეთაური. მოსკოვის თათბირის შედეგი.

გ. ვეშაპელი. თბილისის ახალი საბჭო და პარტიები.

ქართული პრესა. სტუდენტების წასვლა.

მ. ჯანაშვილი. „კახეთში“.

კორესპონდენცია: მეჯვრისხევიდან, გუმბრიდან და თელავიდან.

გაზეთ „საქართველოს“ კონტორისაგან

რადგანაც დღითი-დღე სიძვირე მეტის-მეტად მწვავე ხასიათსა, ღებულობს, იძულებული ვართ, გაზეთის ფასსაც დროებით მოუმატოთ, დღეიდან გაზეთის

თითო ნომერი ეღირება 15 კაპ.

ხელის მომწერთა ფასები შეიცვლება პირველ ენკენისთვიდან.

ახალი საკრებულო

(ყოფილი ხარფუხის კლუბი)

საზაფხულო სადგომი მიხეილის ქუჩა № 131.

კვირას, 20 აგვისტოს,

გაიმართება

დიდი სახალხო სეირნობა

სხვა-და-სხვა გასართობებით და სათამაშოებით ბავშვებისათვის და მოზრდილთათვის.

დასაწყისი დღის 3 საათზედ.

ორშაგათის გალოროსიული წარმოდგენა.

1—757—1

მარიამობისთვის 20-დან სამხედრო-საისტორიო მუზეუმში გაიხსნება

გამოფენა

მსატვარი **გ. ი. გაბაშვილის**

სურათებისა, 10--6 საათამდე.

შესასვლელი ფასი 50 კაპ. ჯარის-კაცნი და მოსწავლენი იხდიან ნახევარს (1—755—1)

ტფილისის ქალთა პროფესიონალური სკოლა

ნაჩალია პაატაშვილისა.

პირველ სექტემბრიდან მოწაფეების მიღება შეიძლება ყოველ დღე დილიდგან საღამოს ექვს საათამდის. სკოლის ბინაზედ ჩერქეზიშვილის ქუჩა № 2. სკოლაში სწავლის კურსი არის ხუთ წლიანი. კურსის დამთავრების შემდეგ მოწაფეები ღებულ სრულ უფლებიან სკოლის ატესტატს. აქვე მიიღება ყოველ გვარი ხელ-საქმე და კაბები. მიიღება მირეშკი. 1—757—1

სწავლა-განათლების სამინისტროს უწყებაში მყოფი

8-კლასიანი (ვაჟთა და ქალთა)

პუშკინის გიმნაზია

(სრულ უფლებიანი)

თხოვნები მიიღება 1-ლი თბილისის მოსაზღვადებელ კურსების კანცელარიაში პუშკინის ქ. № 4. 10—1 საათამდე და 5—7-დე.

8--735—2

ექიმის თანაშემწე

ვანო საათაშვილი

ღებულობს ავადმყოფებს საღ. 6—8 **საათ.**—ვენერიულ სნეულთა წამლობა, კანქვეშ წამლის შეშხაპუნება. სისხლის ნაკლებით, ნერვებით აშლილთ, სიფილისიანთ და სხ. ელექტრიზაციით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა და სხ.

მისამართი: ფასანაურის შესახ. № 3. (1-ლი სამილიციო ნაწილი).

4—748—თ.

დასაქმდა ექიმად

მოსე ანდრიასის ძე

კალანდარიშვილი

უმცროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და კანურ-ვენერიულ ავადმყოფებს მიიღებს

მანგლისში

საკადეტო კორპუსის ბინაში

ექიმი

გ. გ. მუხაძე

იღებს ხადიხატაქში ავადმყოფებს საღამოს 5-6 ს.-მდე, კვირა დღეს გარდა

მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა საგანგებო სახოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი აღნიშნული. ტელეფონი № 5—77.

ექიმი კბილის

ე. ივ. გალარჯაშვილი-მათიაშვილისა

იღებს ავადმყოფებს:

დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ.

ნერკეზიშვილის და რეუტოვის ქუჩის კუთხე № 20.

ექიმი

გ. ფ. მგალობლიშვილი

ქალებისა და საქირურგიო სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: ოლდას ქუჩა № 41, ზვმი სართული, ტელ. 9—53.

ექიმი

მ. ი. მაჩნაძე

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს ზედან დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (ო.—202—)

ექიმი

მ. დ. წინამძღვრიშვილი

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკისა. **შინაგანი სნეულებანი** გულისა, ფილტვისა და სისხლის **სნეულ.** სპეციალურად იღებს **საღ. 5—7 საათამდე ყოველ-დღე. ბორჩალოს ხეობაში.** ბორჩალოს ქუჩა. № 36, მეორე სართული.

ექიმი

ა. დ. კეკელია

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6-დან 8-მდე. კანის, ვენერიულს და ალაშანგით (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116.

(თ—703—12)

ექიმი

მ. გ. ბეფხაძე

ტომსკის უნივერსიტეტის **გენერიულ** ლინიკის ორდინატორად ნამყოფი, **იღებს ავადმყოფებს** კანისა **და ვენერიულის** სნეულებით **ყოველ** დღე 3—5 **საათამდე.** ვორონცოვის ძველის პირდაპირ, რაზიეზადის ქუჩა, № 19.

ექიმი

დ. ვ. ჯავახიშვილი

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა დილის 1 საათიდან 2 საათამდე და საღამოს 6-დან 7 საათამდე.

გუნიბის ქუჩა № 41

თ—719—7

ექიმი

ე. ლ. ფალამბერიძე

იღებს საბანაო და საშვილოსნოს ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: ბეტრიოგრადის ქუჩა № 7.

გაზეთ „საქართველოს“ კონტორისაგან

რადგანაც დღითი-დღე სიძვირე მეტის-მეტად მწვავე ხასიათსა, ღებულობს, იძულებული ვართ, გაზეთის ფასსაც დროებით მოუმატოთ, დღეიდან გაზეთის

თითო ნომერი ეღირება 15 კაპ.

ხელის მომწერთა ფასები შეიცვლება პირველ ენკენისთვიდან.

თბილისი, მარიამობისთვის 20.

მოსკოვის თათბირის შედეგი

დასრულდა უკვე მოსკოვის სახელმწიფო თათბირი, ამ თათბირზე დიდ იმედებს ამყარებდა როგორც დროებითი მთავრობა, ისე რუსეთის საზოგადოება და მის მსვლელობას ევროპაც გულმოდგინედ უგდებდა ყურს.

ამ თათბირს უნდა გამოენახა საერთო ენა და მოერიგებინა გაბნეული და გათიშული საზოგადოებრივი ძალები, უმთავრესად შრომის და კაპიტალის წარმომადგენელნი. მაგრამ ცდა ისევ ცდათ დარჩა.

მგრძნობიერი ეპიზოდი თათბირის: ბუბლიკოვის და წერეთლის ხელის ჩამორთმევა—არ შეიძლება ჩაითვალოს შერიგების სიმბოლოდ.

რომ შერიგება არ ყოფილა ეს იქიდანაც ჩანს, რომ თათბირს რეზოლიუციაც კი არ გამოუტანია, უეჭველია ერთნაირი რეზოლიუცია ვერ გაიერთიანებდა ყველა მონაწილეთ, სამგიეროთ შეეძლო რამ ითქვა ამ თათბირზე, ეს საჯარო აღსარება იყო რუსეთისა. ორატორები უკანასკნელი მეტვრმეტყველებით, ერთმანეთის დაჯაბრებით ააშკარავებდენ რუსეთის სახელმწიფოს დაზიანებას. წარმოების დაშლა, ტრანსპორტის არევ-დარევა, ჯარში სამხედრო დისციპლინის განადგურება, სრული ანარქია სახელმწიფო მეურნეობაში.

მეტად მწვავე იყო სიტყვა ფინანსების მინისტრის ნეკრასოვის, რომელმაც პირდაპირ განაცხადა, რომ ფინანსიური გაკოტრება უკვე ფაქტია რუსეთი ქადალდის ფულის ზღვაში სცურავსო.

ა. კერენსკიმ აწეული პათოსით დაიწყო თავის სიტყვა, ის ამბობდა სისხლზე და რკინაზე, მაგრამ გამოხმაურება არ ეპოვია თათბირზე.

უკანასკნელ მის სიტყვას კი უფრო იქვე იპყრობს.

17 აგვისტოს შემდგარა ახალი მთავრობის სხდომა, ამ სხდომაზე უცვნიათ, რომ მოსკოვის თათბირს დიდი სახელმწიფო მნიშვნელობა ჰქონდა და თათბირმა გაამაგრა დროებით მთავრობის მდგომარეობა, და შესდგომიან კიდეც ახალი პროგრამის შემუშავებას ამ თათბირის მიხედვით.

მომავალი გვიჩვენებს რამდენად მართალია დროებით მთავრობის ასეთი ოპტიმიზმი, ობიექტიურად კი ჯერ პირობები არ შეცვლილა და გარემოებაც ისევ ძველი რჩება.

თბილისის ახალი საბჭო და პარტიები

II

არჩევნებში გამარჯვებული სოციალ-დემოკრატიული პარტია ორი პრინციპით ხელმძღვანელობდა, როცა სამუნიციპალო ასპარეზზე გამოვიდა: ინტერნაციონალურით და კოალიციურით.

მაგრამ ინტერნაციონალური პრინციპი სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ისე კი არ ესმის, როგორც ეროვნულ პარტიების შეთანხმება, არამედ როგორც უპირატესობა ინტერნაციონალურ და სოციალისტურ პარტიებისა ეროვნულ პარტიების წინაშე. კოალიციური პრინციპი კი მას ისე ესმის, როგორც მცირეოდენი მონაწილეობა არა სოციალისტურ და არა ინტერნაციონალურ პარტიებისა ქალაქის საბჭოს გამგეობაში.

სოციალ-დემოკრატების ასეთი ტაქტიკა ბუნებრივად ხდიდა მათ ბლოკს მეორე სოციალისტურ და ინტერნაციონალურ პარტიასთან,—ს. რევოლიუციონერებთან... ეს ბლოკი კიდეც მოხდა. მის ხელში გადვიდა „ხაზეინობა“ ახალი საბჭოსი. ს. დემოკრატებმა და ს. რევოლიუციონერებმა გაინაწილეს თავის შორის ქალაქის გამგეობის შვიდი ალაგი, ოთხი კი არა ინტერნაციონალურ და არა სოციალისტურ პარტიებს შეაძლიეს, თითოეული სომეხ დაშნაცაკანებს, ქართველ ნაციონალ-დემოკრატებს, რუსსომეხ კადეტებს და თათრებს—(მაჰმადიანებს).

მაგრამ დაშნაცაკანებმა უარი სთქვეს გამგეობის წევრობაზედ: ოცდა ხუთ წევრიან ფრაქციისათვის სამი თუ არა ორი ალაგი მაინც მიეჩნიეს მინიმუმად და ერთზე ბოიკოტი გამოაცხადეს...

ს. რევოლიუციონერები პირველათ მხარს უჭერდენ დაშნაკელებს მოთხოვნილებას, მაგრამ როცა შეხედეს, ს. დემოკრატები არას გზით არ დასთანხმდებიან დაშნაცაკანებისათვის დათმობას და არც მათ ბოიკოტს გაუწევენ ანგარიშს—პირი იბრუნეს და გადასწყვიტეს, დაშნაცაკანებთან ერთად თავიდან მოეშორებიათ სხვა არა ინტერნაციონალი და არა სოციალისტური პარტიებიც... ს. დემოკრატებიც მიჰყვენ თავის მოკავშირეების ნებას და ამგვარად მოიხსნა ეროვნულ-დემოკრატების და მაჰმადიან-თათრების მონაწილეობის საკითხიც.

„კოალიციური“ პრინციპი დაიმარხა... თბილისის ქალაქის საბჭოს პატრონობის უფლებანი მხოლოდ ინტერნაციონალურ სოციალისტურ ბლოკის ხელში გადვიდა.

საბჭოს მესამედზე მეტი რიცხვი ხმოსნებისა გერიყული რჩება ქალაქის აღმასრულებელ ორგანოდან.

ასეთი მდგომარეობა დიდათ ართულებს სოციალისტურ ბლოკის მუნიციპალურ მოქმედებას... ეროვნული და არასოციალისტური პარტიების ამომრჩეველთა სულისკვეთებას რომ თავი დაგანებოთ, თბილისის ქალაქის გამგეობა ჰკარგავს რამოდენიმე გამოცდილ მუნიციპალურ მოღვაწეებს, რომელთა პრაქტიკული ძალა დიდათ სასარგებლო იქნებოდა თეორიებით დოქტრინებით შეპყრობილ სოციალისტებისათვის.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, რომელიც მთელი არასოციალისტური საქართველოს წარმომადგენელი არის თბილისის საბჭოში, თავიდანვე აუცილებლად სთვლიდა, საბჭოს პარტიების განწყობილებას კლასთა და ეროვნებათა თანამშრომლობის პრინციპი დასდებოდა საფუძვლად... ამ თანამშრომლობისათვის იგი მზად იყო გამგეობაში მონაწილეობა მიეღო... ამით ჩვენს ფრაქციას დიდი ვალიც ედებოდა. მას უნდა პასუხი ეგო მოქალაქეთა წინაშე საბჭოს გამგეობის სოციალისტურ უმრავლესობის მოქმედებისათვის...

და თუ ამ ჟამად აღმასრულებელ უფლებასთან ერთად ჩვენს პარტიას აღმასრულებელის პასუხისგებაც ასცილდა თავიდან,—ეროვნულ-დემოკრატების ამომრჩეველთაგან დაკისრული მოვალეობა იმითაც საკმაოთ შესრულებული იქნება რომ, როგორც საბჭოს კანონმდებელ პლენუმში, ისე სათათბირო კომისიებში, ჩვენი ფრაქცია ეცდება სოციალისტ ხმოსანთა მუშაობას რაც შეიძლება მეტი საქმიანობა ჰქონდეს და ეს საქმიანობა თუ არ არგებდეს, არაფერს ვნებდეს მაინც თბილისისა და მთელი საქართველოს ნაციონალურ და დემოკრატიულ ინტერესებს.

გ. ვეშაპელი.

ქართული პრესა

სტუდენტების წასვლა.

გაზეთი „ჩვენი ქვეყანა“ ეხება სტუდენტების წასვლას საუნივერსიტეტო ქალაქებში და შემდეგს სწერს:

„ქვეყანა ინგრევა, საუნივერსიტეტო ქალაქების დაცლას ყოველდღე მოელიან, შესაძლებელია საქართველოს ტერიტორიაზედაც ოსმალ-გერმანელთა ჯარმა შემოდგას ფეხი, ყოველი გონიერი სიტყვა დღეს თუ ოქროთ ფასობს, ხვალ შეიძლება მარგალიტის ფასათ იქნეს საძებარი, და ჩვენი ახალგაზრდობა მიეკანება უცხოეთში, ვითარცდა მეცნიერების შესასწავლად.

რაღა წრეულს იჩინა თავი ჭეშმარიტების და ხელოვნების თაყვანისცემამ. რაღა დღეს წუთიც კი ვერ მოუთმენიათ, რომ ქალაქისა და პოლიტიკურ ეკონომიას არ დაეწაფონ, როცა მათი მცირე ცოდნაც კი ხალხს, სამშობლოს ძანანად მოეკლინება...

მაგრამ ახალგაზრდობა „სკეჩნაობს“, მას სურს იქ იყოს, სადაც სწყდება დიდი კითხვები, სადაც ლაპარაკობს კერენსკი და მოქმედებს ლენინი... მას ვერ მოუნელებია დუნე ცხოვრება ჩვენი ქვეყნისა, მცირე საქმენი, შუათანა გრძობა გონების პირები... და სეირის ყურებას არ ჩევს უცხოეთში, უმნიშვნელო შრომას სამშობლოში...

ერთი მაინც გაითვალისწინოს ახალგაზდა ქართველობამ, როცა ჩრდილოეთისკენ მიეგზავრება, ვის გადასცა თავისი პატარა საქმე და დღეს თუ სამუშაო არაფერი აქვს, ვინ იღებს თავზე სამუშაოს ღასრულებას, როცა იგი გამოჩნდება?!

ასეთს გარდამავალ დროში ბელადებისა და მეთაურების მნიშვნელობაზე მეტს აკეთებს და ახერხებს სიმრავლე მომუშავეთა, უკანასკნელთა სიტყვა და მაგალითი, და რა გული აძლევს ნებას ჩვენს ახალგაზდობას სამშობლო მხარე მიატოვონ, როცა საკმაოთ მომზადებული ბელადებიც არ გვყავს, ანა თუ თვით საზოგადოებაში იყოს გონიერი სიტყვის მთქმელი და კეთილი მაგალითის მიმცემი.

რას ეტყვიან, როცა დაბრუნდებიან, სხვას თუ ანა, ახლობელ ნათესავ-მეგობარ-ნაცნობებს, რომელთაც შესაძლოა, გაუფიქრებელის სიტყვით, უხერხულის მოქმედებით თავს დიდი ზიანი მოუტანონ?

შეიძენენ-კი იმდენს ცოდნას, რომ დღეს მათ მიერ ადგილათ ასაშორებელი წყლული, შემდეგში განკურნონ?

ეი ამას უნდა ჩაუფიქრდნენ, სანამ მატარებლის კიბეზე ფეხს შეადგამდენ.

ეზლა ყველა დარაჯად უნდა უდგეს თავის პატარა საყარაულის და ასეთი საყარაულო თუ არ აქვს, ეძებდეს ისეთს ადგილს, სადაც სამშობლოსთვის გამოსადეგი იქნებაო.“

რევოლუცია

დეპეშები

გადასაგადი საბირჟო გარიგებებზე

პეტროგრადი. მარიამობისთვის 17. ფინანსთა სამინისტროში აღძრულია საკითხი საგანგებო გადასახადი შემოღონ საბირჟო გარიგებებზე.

ფინანსიური კრიზისი ნიუ-ნოვგორ. ნიჟნი-ნოვგოროდი. მარ. 16. ქალაქის გამგეობა განიცდის ფინანსიურ კრიზისს. გამგეობა თხოულობს ნება მისცენ ისესხოს ერთი მილიონი მანეთი. მოელიან შეჩერებას ტრამვაისას, წყლის-საყვანისას და სხვა საქმეთა.

ტყავეულობის მეკარხნეთა ყრილობა ნიჟნი-ნოვგოროდი. მარ. 17. ბაზარში ტყავეულობის მეკარხნეთა ყრილობა დაიწყო. ჩამოსულია 80 წარმომადგენელი.

რკინით დახმარება სამიწად-მოქმედო მანქანებისთვის

ნოვოჩერკასკი. მარ. 17. სასურსათო საქმეთა მინისტრმა ასი-ათასი ფუთი რკინა მისცა ცენტრალ რუსეთის გუბერნიების სასურსათო კომიტეტებს და დონის რაიონების ქარხნებს. ამ რკინას სამიწადმოქმედო მაშინების გაახლებას მოამზადებენ. სატრანსპორტო საქმეთა აწყობის გამო სამხრეთისკენ რკინის გატანა გაძნელდა.

საეკლესიო კრება

მოსკოვი. მარ. 17. უმაღლეს მთავარ-საღვთისმეტყველო ბრძანებით საეკლესიო კრებას მიეცა გახსნა გენერალ ტრუბეცკოის და თან აღნიშნა, რომ საჭიროა ავამაღლოთ ჯარში გრძნობა მოვალეობისა და გავაღვიძოთ მიმქრალი ცეცხლი სამშობლოსადმი სიყვარულისაო. შემდეგ დაიწყო მთელი რიგი მილოცვისა. კიევის სარწმუნოებრივ-საფილოსოფო საზოგადოებისაგან, მართლმადიდებელ ლატიშთაგან, მართლმადიდებელ ეკლესიისაგან ესპანიაში, შეერთებულ შტატების წარმომადგენელისაგან, მოსკოვის საბირჟო კომიტეტისგან, მართლმადიდებელ გალიჩანელებისგან, სარწმუნოებრივ-საფილოსოფო საზოგადოებისაგან, სალავიოვის სახელობაზე, მისიონერებისგან და ბერთაგან. პრეზიდიუმის არჩევა იქნება ხვალ.

საკინკოვი რჩება თავის ადგილზე

პეტროგრადი. მარიამობისთვის 17. სამხედრო საქმეთა გამგე სავინკოვმა განაცხადა, რომ ის რჩება თავის ადგილზე და იმუშავებს სრული შეთანხმებით კერენსკისთან. დებულება კომისარების შესახებ რჩება უცვლელად. სავინკოვი და მთავარ-სარდალი საჭიროდ სთვლიან და მხარს უჭერენ ჯარის ორგანიზაციების არსებობას, მხოლოდ მათ ნება არ უნდა ჰქონდეთ გააუქმონ საბრძოლო ბრძანებანი და არც კომანდის შემადგენლობის დანიშვნაში და გადაყვან-გადმოყვანაში ერეოდნენონ.

რკინის გზის გაფიცვის შეჩერება მოსკოვში.

მოსკოვი. მარიამობისთვის 17. შეერთებულმა სხდომამ მუშათა და ჯარისკაცთა აღმასრულებელ კომიტეტებისამ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: შეჩერებულ იქნას გაფიცვა ორთქლმავალ ბრიგადებისა და მოეწყოს კომისია საბოლოოდ გადასაწყვეტად გაფიცვის საკითხისა და რკინის გზების ყველა მოსამსახურეთა ნივთიერ მდგომარეობისა.

ავსტრიის ორი ქვეშევრდომის მოკვლა

კიევი. მარიამობისთვის 17. კიევის საქონლის სადგურზე ციმბირელმა ჯარის კაცებმა მხეცურად მოჰკლეს ავსტრიის ორი ქვეშევრდომი, ამბობენ ჯაშუშები იყვნენო და ამის საბუთებიც აღმოაჩნდათო.

ახალი სამოქალაქო გამგეობა ქაზახეთში

ნოვოჩერკასკი. მარიამობისთვის 17. დროებითმა მთავრობამ ძირიანად შესცვალა ყაზახთა სამი კრებიგან შემუშავებული დებულება ყაზახთა ჯარების სამოქალაქო გამგეობისა. ეს ძლიერ სწყენინათ ყაზახებს და უკმაყოფილებას იწვევს მათში.

სამოსწავლო ოლქების მზრუნველთა კრება

პეტროგრადი. მარიამობისთვის 17. დაიხურა მზრუნველთა კრება. კრებამ მოისმინა სამოსწავლო ოლქების გამგეობის შეცვლა, შემოღებულ იქმნას დღესვე მასწავლებლების საარჩევნო წესით მიღება, გიმნაზიების პირველი ოთხი კლასი გადაკეთდეს პირველდაწყებით უმაღლეს სასწავლებლად და შემოღებულ იქმნას სამშობლო ენაზე სწავლა ადგილობრივ სკოლებში.

სუხომლინოვის გასამართლება

ბაზაროვის ჩვენება.

მოწმე ბაზაროვი, რუსეთის ყოფილი სამხედრო აგენტი გერმანიაში, აცხადებს: მე შევკრიბე მთელი რიგი ცნობები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ომი გერმანიასთან აუცილებელია. ამ ცნობებს გერმანიის სამხედრო მთავრობა დიდის სიფრთხილით ძალევდა მე. ასევე ეტყოდნენ ფრანგებისა და ინგლისის აგენტებს. მოწმის ცნობები გერმანიის სამხედრო ძალიერების შესახებ სწორი გამოდგა. როცა ომი დაიწყო, გერმანიის ზარბაზნებისა და ტყვიის მტყორცნელების რიცხვი ძალიერ გაიზარდა, როგორც წართმეული ციხეების გამო, სადაც დავლად დარჩათ მათ მრავალი ზარბაზანი და ტყვია-წამალი, ისე იმ იარაღით, რომელიც შეკვეთილი ჰქონდათ გერმანეთში მეომარ სახელმწიფოებისაო.

სმისლოვსკის ჩვენება.

მოწმე სმისლოვსკი, საარტილერიო გამგეობის მოხელე აჩვენებს, რომ მიზეზი ჩვენი სამხედრო სამზადისის ნაკლებობისა უმთავრესად იმაშია, რომ ჩვენში მცირედ არის მრეწველობა განვითარებული და მცირე გამოსაგლობიც აქვს ჩვენს სახაზინო და კერძო ქარხნებსაო. გარდა ამისა დიდს დაბრკოლებებს გვაძლევდნენ სერგეი მიხეილის ძე და გენერალური შტაბის სამხედრო სამჭო. სუხომლინოვი გულგრილად ეკიდებოდა საქმეს და მარტო მაშინ ცოცხლდებოდა, როცა რომელიმე ფირმისთვის უნდა შეგვეკვეთნა იარაღი. შეკვეთის მიცემა და ფულის მიღება გარემოცული იყო საშინელი ფორმალიზმით. არც ინგლისში და საფრანგეთში იყო საქმე უკედ. უმთავრესი შეცდომა სამხედრო უწყებისა ის იყო, რომ ეგონათ—ომი დიდს ხანს არ გასტანსო. ომის დაწყების შემდეგ მოწვეულ იქმნა ქარხნების წარმომადგენელთა თათბირი და როდესაც შტაბის უფროსმა განაცხადა საიდუმლოდ, რომ ძალიან გვაკლია სამხედრო ყოველგვარი სამზადისი, წარმომადგენლებმა ისე საშინლად ასწიეს ფასები, რომ ფრონტის დაკმაყოფილება შეუძლებელი იყო. სმისლოვსკის შემდეგ ლაპარაკობს სუხომლინოვი.

მარიამობისთვის 17. სხდომა იხსნება გენერალ სმისლოვსკის ხელმეორედ გამოკითხვით. სმისლოვსკი ამბობს: ომის პირველ წელს გამგეობამ და სამხედრო-სამრეწველო კომიტეტმა ვერ შესძლეს დაკმაყოფილებინათ ფრონტის მოთხოვნილება. უნდოდათ აეგოთ ახალი ქარხნები მძიმე ზარბაზნებისთვის, მაგრამ მაღე მიატოვეს ეს აზრი, რადგანაც კონკურენციას ვერ გაუწევთ კრუპსა და შნეიდერსაო. რაც შეეხება სხვა ქარხნებს, არცერთმა მათგანმა თავის დროზედ არ შეასრულა შენაკვეთი. სამობილიზაციო განყოფილების უფროსი **ტუგან-ბარანოვსკი** აჩვენებს, რომ მობილიზაცია ხდებოდა ძველი, 1910 წლის, გეგმით. გენერალი **პეტროვსკი** უჩვენებს, რომ სუხომლინოვმა დიდი ინტერესი გამოიჩინა, რომ ყუმბარების კეთება გადაესცემოდა ეროს ქარხანას და, თუმცა დიდი მთავარი სერგეი მიხეილის ძე წინააღმდეგი იყო ამისა, ყუმბარების დამზადება მაინც ეროს ქარხანას გადასცეს.

საარტილერიო მთავარ-გამგეობის მოხელეთა ჩვენებანი.

პეტროგრადი. მარიამობისთვის 17. პოლკოვნიკი ბასოვი, პოპოვი, ბოტკინსკი და გენერალი იასტრებოვი განმარტავენ, რომ მთავარი საარტილერიო უწყება არ ემზადებოდა ომისთვის. ამზადებდნენ იმას, რასაც ჩვეულებრივ ამზადებდნენ მშვიდობიან დროსო; კერძო ქარხნებს არ აწყობდნენ ქვეყნის დაცვისათვის; საზღვარგარეთ შესაკეთებს ჩვეულებრივ გერმანიაში აძლევდნენო. ბოტკინსკი სხვათაშორის ამბობს, რომ წინააღმდეგ საარტილერიო გამგეობის დადგენილებისა, ტყვიის მტყორცნელთა შენაკვეთი სუხომლინოვმა გადასცა ვიკკერტის ფირმასაო. შენაკვეთი ცუდი გამოდგა და მინისტრთა საბჭომ დაადგინა მოხსენდეს ამის შესახებ ყოფილ მეფეს და ისიც, რომ ტყვიის მტყორცნელები შეიძლება ადგილობრივმა ქარხნებმაც გააკეთონო. **სუხომლინოვი** ამბობს, რომ სწორედ მთავარი საარტილერიო გამგეობა მუდამ წინააღმდეგი იყო შენაკვეთი გვეძლია ადგილობრივი ქარხნებისათვისო.

მოსკოვის თათბირის გამო

გერმანულ გაზ. „ფორვერტსის“ აზრი.

სტოკჰოლმი. მარიამობისთვის 16. მოსკოვის თათბირის გამო „ფორვერტსი“ სწერს: „კერენსკიმ და მისმა ამხანაგებმა მთელი ქვეყნის წინ გადაშალეს თავისი შინაგანი უთანხმოება. ყველაფერი, რასაც თვით მშვიდობიან დროს უგულოდ ისმენს ყოველი მთავრობა ყოველი ცნობა, რომელსაც ომის დროს სპობს მთავრობა ყოველ საშუალებით,—ყველაფერი ეს დაურიდებლად და აშკარად ითქვა მთელი ქვეყნის წინაშე. მაგრამ გაზეთი მაინც ვერ პოულობს მოსკოვის ორატორების სიტყვებში პასუხს, რით ეშველოს გაჭირვებულ მდგომარეობას და როგორ მოეწყოს ახალი ცხოვრება ახალ საფუძვლებზე. ყველა ერებს სჭირია მშვიდობიანობა, მარტო მშვიდობიანობას შეუძლიან იხსნას რუსეთის რევოლიუცია, მაგრამ მშვიდობიანობაზე მოსკოვში კრინტიც არ იყო დაძრულია. კერენსკის სიტყვაზე, რომ გერმანიამ სეპერატიულ ზავის წინადადებით მიმართა რუსეთის ერთ-ერთ მოკავშირესაო, ამაზე არაფერი იციან არც გერმანიის ხალხმა, არც გერმანიის პრესამ და არც გერმანიის რეიხსტაგმაო. გაზეთს იმედი აქვს, რომ გერმანიის მთავრობა სულ მოკლე ხანში მოიცემა განმარტებას ამის შესახებაო.

ინგლისის პრესის აზრი.

ლონდონი. მარიამობისთვის 15. ინგლისის მემარჯვენე გაზეთები ჯერ-ჯეროობით თავს იკავებენ და არასფერს ამბობს მოსკოვის თათბირზე, მემარცხენეთა გაზეთები კი როგორც სჩანს ძლიერ შეუშფოთებია შინაგან მდგომარეობას.

„ფორვერტს“-ი კერენსკის სიტყვის გამო.

სტოკჰოლმი. მარიამობისთვის 16. „ფორვერტს“-ი კერენსკის სიტყვის გამო სწერს: კერენსკიმ ილაპარაკა არა ისე როგორც სოციალისტმა, არამედ როგორც ნაციონალისტმა. ბოლშევიკურ აგიტაციამ აიძულა მეორე მხარეზე გადასულიყო. რუსეთმა ნათლად დაამტკიცა, რომ ქვეყნის დაცვის უარყოფით და ანარქიის პროპაგანდით ომის დროს ნამდვილ სამშვიდობო პოლიტიკის გატარება შეუძლია.

ეროვნული საკითხი

პოლონეთის ჯარის რიცხვი

პარიზი. მარიამობისთვის 15. „იკლერ“—იტყობინება, რომ პოლონელების ჯარის რიცხვი დასავლეთის ფრონტზე იქნება 100.000 გენერალ არშინარის მეთაურობით. პოლონელთა ჯარებს ექნებათ თავისი ბაირაღები, პოლონური არწივები და ფეპეს მაგიერად კონფედერატკები.

საოლქო საბჭოს მოთხოვნა ციმბირელებისაგან

ირკუტსკი. მარიამობისთვის 17. მეორე საგუბერნიო ყრილობაზე დამფუძნებელ კრებისთვის კანდიდატები ჩანიშნეს ყველა სოციალ-რევოლუციონერი. დაადგინეს მიწის საკითხზე სოციალ-რევოლუციონერების გარდაწყვეტილება მიიღონ. მოითხოვენ ციმბირის საოლქო სათათბიროს დაარსებას, სახელმწიფო სათათბიროს და საბჭოს გაუქმებას, რევოლუციაიონურ მთავრობის მხარის დაჭერას და სტოკჰოლმის კონფერენციის მოწვევას.

უკრაინა და რუსეთი

პროტესტი სამხრეთ რუსეთის უკრაინიზაციისა.

კიევი. მარიამობისთვის 17. „კიევლიანინ“-ის რედაქციას ურიცხვი პროტესტი მისდის სამხრეთ რუსეთის უკრაინიზაციის შესახებ. უკრაინელები მოითხოვენ, რომ ყველა სასწავლებელში სწავლა უკრაინულ ენაზე სწარმოებდეს. ამას მალორუსები ბოროტგანზრახვად სთვლიან და აცხადებენ, რომ სლავიანები ვერ გათელეს გერმანელებმა მხოლოდ იმიტომ, რომ არსებობდა ერთი მტკიცედ შეკავშირებული რუსის ერი და ყოველივე დაძაბუნება რუსის ერის სამი ტომისა მხოლოდ გერმანელებს გაეხარდებათო.

რევოლიუციის დამცველი კომიტეტი

კიევი. მარიამობისთვის 17. ხმები, რომ კონტრ-რევოლიუციური გამოსვლები მზადდებაო. ამის გამო ჯარისკაცთა დეპუტატების აღმასრულებელ კომიტეტის სხდომამ დაადგინა დაარსოს რევოლიუციის დამცველი კომიტეტი. კომიტეტში შევლენ: მუშათა დეპუტატების საბჭოს ორი წარმომადგენელი ჯარისკაცთა დეპუტატებისა და ორიც ცენტრალ რადას კომიტეტიდან. განზრახულია კომიტეტი დიდი რწმუნებულებით აღჭურვონ.

ფინლიანდია და რუსეთი

სეიმის კერძო თათბირი.

ჰელსინგფორსი. მარიამ. 17. სეიმის კერძო კრებაზე სოციალ-დემოკრატების ფრაქციის წარმომადგენელებმა პროტესტი განაცხადეს სეიმის სხდომის აკრძალვაზე. კრებამ მიიღო აგრეთვე სოციალ-დემოკრატების წარმომადგენელ აიოროლის წინადადება სასეიმო სხდომის სახით კრების გაგრძელების შესახებ. აიოროლის წინადადებითვე კრებამ ალვიარა, რომ ტალმანს საჭიროებისამებრ სეიმის მოწვევის უფლება აქვსო. კრების მცირერიცხოვნობის გამო ტალმანმა ერთი საათით დასვენება განაცხადა. შემდეგ სოციალ-დემოკრატების ფრაქციამ განაცხადა, რომ, თუ დანარჩენი ფრაქციები გამოცხადდებიან საერთო კრებაზე, ისიც გამოცხადდება. რადგან დანარჩენ ფრაქციებს ჯერ დასწრების სურვილი არ განუცხადებიათ საერთო კრება არ შემდგარა.

გზა ყინულოვან ოკეანესკენ.

ჰელსინგფორსი. მარიამობისთვის 18. სენატმა ყინულოვან ოკეანისკენ გზის გახსნის საკითხი განიხილა. ეს საკითხი სოფელ კიურესა და პოტარამოს ყურეს შუა საფოსტო გზის გაყვანამ გამოიწვია. ხსენებულ საფოსტო გზისთვის ფინლიანდიამ უკვე $2^1/_2$ მილიონი გადასდო. ეხლა სეიმი მოითხოვს მუშაობის შეჩერების დანახარჯის ანაზღაურებას ანდა $9^1/_2$ მილიონ მარკას რუსეთისგან—რომ გზა გაიყვანონ. გაზეთების ცნობით, გზების უფროსმა მესამე პროექტი შეიტანა სენატში. ამ პროექტით ფინლიანდია გზის გაყვანას კისრულობს იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი დაუთმობს იმ მიწას, რომელზედაც გზა გადის და აგრეთვე ყინულოვან ოკეანეს ნაპირებს ნორვეგიის საზღვრებიდან მეთევზეთა კუნძულამდე.

რუსეთი და უცხოეთი

ქარტეხილი ინგლისში.

ლონდონი. მარიამობისთვის 16. ინგლისზე გადაულია იშვიათი ძალის ქარტეხილს. იტყობინებიან მინდვრების დიდ დაზიანებას.

ავსტრიის დეფიციტი

სტოკჰოლმი. მარ. 16. ვენიდან იტყობინებიან, რომ 30 მკათათვეს დასრულდა სეფინანსო წელიწადი და აღმოჩნდა 3,341,000,000 კრონი დეფიციტი.

ქალაქ ყაზანის გადაწყვეტა

ყაზანი. მარიამობისთვის 17. ქარხნის დაწვა გაგრძელდა სამ დღეს. დიდხანს იწვოდა სანავთო აუზები. ცალ-ცალკე აფეთქებანი აქამომდე გრძელდება. ახლად აგებული სახელოსნოები სავსეა წყლით, წინანდელი შენობანი განადგურებულია, სპირტის აუზები კი გადარჩა. დაღუპულთა რიცხვი დიდია, მხოლოდ ჯერ ცნობაში არ არის მოყვანილი. საქალაქო გამგეობა ღებულობს სასწრაფო ზომებს დაეხმაროს დაზარალებულებს. ბევრი გაქცეული ჯერაც არ დაბრუნებულა. ცეცხლის გაჩენის მიზეზად ასახელებენ ბოროტ-განზრახვას. გამომძიებელი მოუწოდებს ყველას დეხმარნენ მას გამოძიებაში. ქალაქს იცავენ იუნკრები, რადგანაც ჯარის კაცებს ვერ ენდობიან. ესენი კმაყოფილნი არ არიან სამხედრო მდგომარეობის გამოცხადებით. შეუნიშნავთ, რომ ქარხანაში ცეცხლის გაჩენამ გამოიწვია მათში ძვირნდომობა. ცეცხლი რომ დაიწყო, ესენი ქალაქიდან გაიქცნენო. ყარაულობისა და სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ ჯარში სწარმოებს აგიტაცია და მღელვარება. ზოგიერთი მნახველები ამტკიცებენ, რომ უბედურება დაიწყო არა აფეთქებით, არამედ ალით, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის შემოწმებული. თითქმის სასწაულებრივ, ცეცხლის ზღვაში გადარჩნენ ხის შენობები. იყო დარბევის მაგალითებიც. დაკავებულია ბევრი მძარცველი. ქარხნის უფროსი მოკვდა გმირულად, როცა იცავდა ცეცხლისგან ახალ შენობებს. ქარხნის ერთს მოხელეს ეგოროვს მოსწყვიტა ფეხი.

სიმბირსკი. მარიამობისთვის 17. დამატებითი ცნობებით მარიამობისთვის 14-ს სამის ნახევარზე აფეთქება მოხდა. მიზეზი გამოურკვეველია. მალე ახლო ადგილებში საწყობებს ცეცხლი გაუჩნდა. ცეცხლი ქარხნებზედაც გადავიდა—ნავთის აუზებს გაუჩნდა. ქარხნის მახლობლად მცხოვრებნი გაიქცნენ. ცეცხლის ჩაქრობას ხომ არც არავინ იფიქრებდა. უკანასკნელი აფეთქება სადამოს 7 საათზე მოხდა. გადარჩა მხოლოდ ქარხნის ახალი შენობები. ძველი შენობები მთლად დაიწვა. ზარალი დიდია, მხოლოდ ჯერ გამოურკვეველი. ალაფუზოვის ფაბრიკა-ქარხნები არ დამწვარა. არ დამწვარა აგრეთვე „იაგოდნაია სლობოდა“; გადარჩა პოროხოვაიაც—თუმცა ზოგი ძველი შენობები დაინგრა. დიდი იგუმენოვაია არ დაზარალებულა, პატარა საშინლად დაზარალდა. უშკოვის ქარხანა, რომელიც ერთ მილიონ მანეთად იყო დაზღვეული გადიწვა. დამწვარ დახოცილთა რიცხვი ეჭვს გარეშეა დიდი უნდა იყოს, ჯერ არ გამოურკვეთ. ბევრი მუშა დაშავდა. არიან დახოცილები და დამწვრებიც. ცეცხლი მარიამობისთვის 15-ში ძვინვარებდა. ქარხნების ცეცხლი ქალაქსაც უქადდა, მაგრამ გამოჩნდა გმირი, რომელმაც თავი გასწირა, და მრავალი იხსნა უბედურებისაგან. ეს გახლავთ ქარხნის უფროსი ლუკნიცკი. მან განკარგულება გასცა სახელოსნოების წყლით გავსების შესახებ და ვიდრე ბრძანება არ შეასრულეს ადგილიდან ფეხი არ მოუცვლია. ლუკნიცკის ხელი მოსწყდა. იგი სასტლით იცლებოდა, მაგრამ შველა არავინ ადმოუჩინა. 2 საათის შემდეგ წითელ ჯვრის ლაზარეთში გაგზავნეს, მაგრამ იგი აღარ გადარჩა და მარიამობისთვის 14 ღამეს გარდაიცვალა. აფეთქებამ ქალაქს მაინც თავზარი დასცა. ქალაქში საქმიანობა შესწყდა, დაწესებულებები, ქარხნები, ფაბრიკები და ფოსტა დაიკეტა. ტრამვაის მოძრაობა შესწყდა. სამშაბათის გაზეთები არ გამოვიდა.

ომი და ზავი

დეპეშები

რუსეთის ბანაკის ცნობა

პეტროგრადი. მარიამობისთვის 18. ოფიციალი. **დასავლეთის ფრონტი.** ნაროჩის ტბის სამხრეთ-დასავლეთით და ვილენის მიმართულებით სმოლგონსა და კრევოს შუა სროლა გაძლიერდა.

რუმინეთის ფრონტი. სოფ. ოკნის ირეშტის რაიონების შუა მტერს იერიშები მოჰქონდა, მაგრამ მოვიგერიეთ. მოვიგერიეთ აგრეთვე ირეშტის რაიონში და მდ. სუშიცის ღელეში მტრის განმეორებით იერიშები. დანარჩენ ფრონტზე ლირს-შესამჩნევი არა მომხდარა-რა.

კავკასიის ფრონტი. ჩვენები ხერიბარის ტბის დასავლეთ-რაიონის დაზვერვის შემდეგ, ასტერაბადისკენ წამოვიდნენ და თან ტყვეებიც წამოიყვანეს.

გერმანელების მოქმედება ბალტიის ზღვის უურეში.

პეტროგრადი. მარიამობისთვის 17. წარსულ კვირას მტერი ბალტიის ზღვის რაიონში დიდ მოქმედებას იჩენდა. რიგის ყურის კუნძულებს რამდენჯერმე თავს დაესხა მტრის ორმოცამდე ყუმბარის მტყორცნელი მფრინავი. რიგის ყურის შესავალში გემებს, საზღვაო და სანაპირო ბატარეებს და ნავთსადგურის შენობებს 90-ამდე ყუმბარა ესროლეს. ჩვენ მფრინავებს რამდენიმე სჰაერო ბრძოლა მოუხდათ მათთან. ზარალი არ არის.

საფრანგეთის ბანაკის ცნობა.

პარიზი. მარიამობისთვის 17. მდ. ენზე ხანგამოშვებითი საარტილერიო ბრძოლაა. კურტიკუნის რაიონში ყუმბარების საწყობი აეფეთქეთ. ვერდენის ფრონტზე ავაკურის რაიონში და „304“ სიმაღლესთან ზარბაზნების გაუწყვეტელი სროლაა. კარრერის ტყის ჩრდილოეთით მზვერავთა რაზმები მოვიგერიეთ. მომონის რაიონში მარიამობისთვის 13-ს 1470 დაჭრილი ტყვე წამოვიყვანეთ. მათში 37 ოფიცერია.

პორტუგალელ ჯარის მოქმედება. არმანტერის სამხრეთით მოულოდნელი თავდასხმა მოვიგერიეთ. მთელ ფრონტზე პატრულების შეტაკება და მზვერავთა მოქმედებაა. მტერი მახრჩობელ გაზებს ხმარობდა. ჩვენი ზარალი უმნიშვნელოა.

პარიზი. მარიამობისთვის 17. შამპანში ტეტონის გორაკის აღმოსავლეთით ადგილობრივ ხასიათის ოპერაციებს ვაწარმოებთ. ბრეის რაიონში, ლანის ოლქში და კრონის უბანში გერმანელების მოულოდნელი თავდასხმა მოვიგერიეთ. მაასის ნაპირებზე ძლიერი საარტილერიო ცეცხლი მძვინვარებს.

ახლო აღმოსავლეთი. ოფიციალი. დიორანის რაიონში პატრულების შეტაკებაა. ვარდარის ფრონტზე ბერძნებმა ცრნის მოსახვევში ბოლგარელების იერიშები მოიგერიეს. მონასტირის რაიონში ძლიერი საარტილერიო ბრძოლაა.

ინგლისის ბანაკის ცნობა.

ლონდონი. მარიამობისთვის 17. ოფიციალი. სენ-კანტენის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენ წინ წავიწიეთ. დანსის მახლობლად და იპრის აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით ცხარე საარტილერიო ბრძოლაა.

ლონდონი. მარიამ. 17. ოფიციალი. ნიუპორის უბანში მტრის არტილერია მოქმედობს. ცუდი ამინდი დაიჭირა.

იტალიის ბანაკის ცნობა.

რომი. მარიამობისთვის 17. გორიცის დასავლეთით მტრის იერიშები მოვიგერიეთ. ზოგიერთ პუნქტებში ჩვენ წინ წავიწიეთ და 5,611 ტყვე წამოვიყვანეთ. ჩვენი მფრინავები ბანოგიცის ტყეში მტრის ბატარეებს უშენდა ყუმბარებს. ტრენტინის ფრონტზე, ტრპატოს რაიონში საარტილერიო ცეცხლი მძვინვარებს.

საფრანგეთის გემების მიმოსვლა.

პარიზი. მარიამობისთვის 16. ერთი კვირის განმავლობაში საფრანგეთის ნავთსადგურებში შემოვიდა 920, გავიდა ზღვაში 1013 და დაიღუპა 4 გემი. უშედეგოდ ჩაუვლია 4 გემზე თავდასხმას.

ამერიკის უარი პაპის საზავო ნოტაზე.

ნიუ-იორკი. ვილსონისაგან უარის შეთვლა პაპის სამშვიდობო წინადადებაზე მოასწავებს ომის უმაღლეს ხარისხამდე გაძლიერებას. არ იციან, გაუოვლენ თუ არა შეთანხმების დანარჩენი სახელმწიფონიც ცალკე ერცელი პასუხებით; მაგრამ ის კი ეჭვს გარეშეა, რომ მათი პასუხი საზოგადოთ შეთანხმებული იქნება ვილსონის პასუხთან. ამბობენ, რომ ვილსონის პასუხიც შემდგარია დანარჩენ სახელმწიფოების შეხედულებასთან შეთანხმებითაო.

პრაპორჩიკ დაგკინისა და 67. ჯარისკაცის გასამართლება.

მომქმედი ჯარი. მარიამობისთვის 17. საკორპუსო სასამართლოში დაიწყო საქმე პრაპორჩიკ დაგკინისა და №-პოლკის 67 ჯარისკაცისა, რომელთაც ჰბრალდებათ სამხედრო მრძანებათა შეუსრულებლობა და შეტევის წინააღმდეგ აგიტაცია.

რეიხსტაგის საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

სტოკჰოლმი. მარიამობისთვის 16. ორშაბათს რეიხსტაგის საბიუჯეტო კომისიის დახურულ კრებაზე პოლონეთის, ლიტვის და კურლანდიის მდგომარეობის შესახებ იქონიეს თათბირი. უმრავლესობა კანცლერს სამოქალაქო მმართველობის შემოღებას სთხოვდა. საბიუჯეტო კომისიამ მიიღო წინადადება პოლიტიკურ ცენზურის გაუქმებისა. სოციალ-დემოკრატების წინადადება საალყო წესების მოხსნისა—კომისიამ არ მიიღო.

საქონლის გატანის აკრძალვა ამერიკიდან

ვაშინგტონი. მარ. 16. პრეზიდენტს ბრძანებით აიკრძალა საქონლის გატანა ამერიკიდან ნება-დაურთველად. მიზნად დასახულია—ინგლისში გაუწიოთ, რომ უფრო კარგად დავაკმაყოფილოთ ამერიკისა და მოკავშირეთა მოთხოვნილებანი. — შეძლებისამებრ ნეიტრალურ სახელმწიფოებსაც დავაკმაყოფილებთო.

რუსეთის სამხედრო შენაკვეთები იაპონიაში.

ტოკიო. მარიამობისთვის 16. ამერიკის შეერთებულ შტატების მიერ ფოლადის და რკინის გატანის აკრძალვამ სახიმალდო ვერფებს შიშის ზარი დასცა. გაზეთები აღნიშნავენ, რომ იაპონია რუსეთის სამხედრო შენაკვეთებს ვერ შეასრულებსო.

ფრანგები რუხის ჯარს კიცხავენ.

პარიზი. მარიამობისთვის 17. რუმინეთის ფრონტზე მომხდარ ამბების გამო საფრანგეთის გაზეთები მკვახეთ ჰკიცხავენ რუსის ჯარს.

სტოკჰოლმის კონფერენციის გარშემო

მოკავშირეთა კონფერენციის დახურვა

ლონდონი. მარ. 17. მოკავშირეთა-შორისო სოციალისტური კონფერენცია დაიხურა საღამოს. კომისიამ წარმოადგინა მოხსენება, რომელშიაც ურჩევს სოციალისტურ ორგანიზაციებს მონაწილეობა მიიღონ სტოკჰოლმის კონ-

ფერენციაში. გაიმართა კამათი. რადგანაც შეუძლებელი გახდა შეთანხმება, შემოიტანეს წინადადება მოაწყონ სამუდამო კომისია წინასწარ დასამუშავებლად აღძრულ საკითხებისა. განზრახულია მოწვევა მცირე საკავშირო კონფერენციისა მოსამზადებლად საერთაშორისო კონფერენციისა. წინადადება მიღებულია. კომიტეტი აარჩიეს, თვითულ სექციიდამ შევიდა ორ-ორი წარმომადგენელი.

ჰაეროპლანი მინსკის თავზე

მინსკი. მარიამ. 17. ქალაქის თავზე კვლავ გამოჩნდა გერმანელთა ჰაეროპლანი, მაგრამ ესროლეს თუ არა ზარბაზნები, იგი მაშინვე მიიმალა ბარანოვიჩის მიმართულებით.

გერმანეთმა ნება დართო არგენტინის გემებს ბრაზილიაში მიმოსვლისა

პარიზი. მარ. 16. ბუენოს-აირესიდამ იტყობინებიან, რომ გერმანეთის შთაგრობა დაჰპირდა ხელ-შეუშლელად გამოუშვას არგენტინის გემები ბრაზილიისკენ და აუნაზღაურეს ზარალი, თუ ვინიცობაა გერმანელთა წყალქვეშებმა დაჰკუპეს.

საპატაო ლეგიონის ჯვრით დაჯილდოება

პარიზი. მარ. 17. პუანკარემ დათვალიერა ვერდენი და გადასცა გენერალ პეტენს დიდი ჯვარი საპატიო ლეგიონისა.

გერმანელთა შტაბის სწოგა

(მარიამობისთვის 4).

დასავლეთის ფრონტი

ფრონტი კრონპრინც რუპრეხტის ლაშქრისა. მეორე დღეა რაც ფლანდრეთში დიდი ბრძოლა დაიწყო და ჩვენი ჯარის სიმამაცემ, ყველა ჯურა იარაღმა და შემტევ ძალამ, რომელსაც მუდამ ატარებს ჩვენი შეუდარებელი ქვეითი ჯარი, ბრძოლის სასწორი ჩვენსკენ გადმოხარა. დილით ფრანგ-ინგლისელებმა შემოტევა დაიწყეს. იზერიდან ლისამდე ფრონტის 30 კილომეტრზე დიდი ბრძოლა გაჩაღდა. ფერი-გრახტენის მახლობლად არხთან მდებარე ადგილები დავსტოვეთ. მტერმა დაიპირა ავრეთვე ჩვენ მოყარაულეთაგან დატოვებული ადგილები ბიგსშოტის ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით. ინგლისელებმა ლანგემარკთან ჩვენი ხაზი გამოიღეს და პელკაპელემდე წამოიწიეს. აქ ჩვენები შეებნენ კონტრ-იერიშით და ჯკან განდევნეს. საღამოთი ლანგემარკი ისევ ჩვენ დავიპირეთ. მტერი სეიულიენთან შეშოიპრა. მათ დაიპირეს ავრეთვე რამდენიმე უბანი ვარნეტონამდე. ქვეითი ჯარი მუდამ მამაცად უხვდებოდა მედგარ შეტევას და არტილერიის და მფრინავთა დახმარებით ჯკან აბრუნებდა მტრის ჯარს. რუდენიდან და მინენ-დან იპრისკენ მიმავალ გზებზე მტერმა ჩვენი ძველი ასპარეზი დაიპირა. დანარჩენ უბნებში მიუხედავთ დიდ ზარალისა, ინგლისელებმა ვერაფერს მიახწიეს. ჩვენი ჯარი ახალ შეტევისათვის მზად არის. არტუაში ლოოსთან ინგლისელები ახალ შემოტევას შეეცადნენ. კონტრიერიშებით მოვაგერიეთ.

გენერალ კრონპრინცის ფრონტი. ენზე სერნის აღმოსავლეთით ფრანგების იერიშები მარცხით დამთავრდნენ. ვერდენთან საარტილერიო ბრძოლა გაძლიერდა. მტერს იერიში არ მოუტანია. მაასის აღმოსავლეთ მხარეს ბადენის პოლკები მოულოდნელად კორიერის ტყეში შეცვივდნენ და 600-დე მეტი ტყვე წამოიყვანეს. ჩამოვაგდეთ მტრის 16 მფრინავი. როტშილტრ ფონ რიხტგ ფენმა 58-ე საჰაერო ბრძოლა მოიგო. პორუჩიკ დოსტლერმა—25-ე.

აღმოსავლეთის ფრონტი

გენერალ - ფელდმარშალ პრინც ლეოპოლდ ბავარელის ფრონტი. იშვიათი საარტილერიო ბრძოლა და მზვერავთა მოქმედებაა.

გენერალ პოლკოვნიკ ერც გერცოგ იოსების ფრონტი. გელდის ჩრდილოეთით ბისტრიცზე და ტორტუმის ღელეს სამხრეთით მარჯვე ბრძოლა გვქონდა.

გენერალ ფელდმარშალ მაკენზენის ლაშქარი. ფოკშანის ჩრდილოეთით და ქვემო სერეტზე რუსებისა და რუმინელების იერიშები დიდის ზარალით მოვაგერიეთ.

მაკედონიის ფრონტი

არაფერია ახალი. საღამოს ცნობა. 21 საათით და 35 წ. ფლანდრეთში და ვერდენთან მხოლოდ საატრილერიო ბრძოლაა. ს. კანტენში სახლებს ისევ ცეცხლი უკიდია. ფრანგების განუწყვეტელი სროლა ციცხლს აძლიერებს.

რუმინეთის მეფის მანიფესტი

მომძღვარი ჯარი. მარიამობით. 14. (დაგვიანებულია). ომის პირველ წლის შესრულების გამო მეფე ფერდინანდმა გამოსცა შემდეგი მანიფესტი თავის ხალხისადმი: „მთელი საუკუნოების განმავლობაში ჩვენი წინაპრები სულიმას ოცნებობდნენ, რომ უნგრეთისგან განყოფილი რუმინელთა ხალხი გაერთიანდეს და განთავისუფლდეს. მსოფლიო ომმა იძულებული გვყო ჩვენც შევბრძოლოდით ძლიერს მტერს, რათა გავგანთავისუფლებინა მონობისაგან მიწები ჩვენი წინაპრებისა. ჩვენ ერთ და იმავე დროს ვიბრძვით თავისუფლებისათვის და მთელი კაცობრიობის სიმართლისათვის. როგორიც უნდა იყოს ცალკე ამბები ამ უსწორო ომისა ჩვენი მოკავშირენი და ჩვენ მაინც გავიმარჯვებთ, დავიბრუნებთ ჩვენს ძვირფას მამულს და შეექმნით ახალ რუმინეთს, რომელზედაც ოცნებობდნენ ჩვენი წინაპრები.

უკანასკნელი დეპეშები

მოსკოვში დაუანებითი ხმებია კონტრ-რევოლუციონერთა შეხაძლო გამოსვლებზე. მათი მაზანი მიხეილ ალექსანდრეს ძე რომანოვის ტახტზე აყვანაა. მიდებულია განსაკუთრებითი ზომები, შესდგა ხაზოგადოების მხსნელი კომიტეტი.

—

კრონშტადტში მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოს ასალ არჩევნებზე გამარჯვება ბოლშევიკებს ჰხვდათ.

—

პეტროგრადში შეიპყრეს მზვერავთა ბიუროს უფროსის თანაშემწე შჩუკინი. მას ხანცენო მოლვაწეთა კლუბის ადმინისტრაციისთვის რამდენიმე ათასი მანეთი დაუტაცნია.

—

პეტროგრადის უნივერსიტეტის რექტორი იუწყება, რომ უნივერსიტეტში მეცადინეობა და ლექციების კითხვა ღინობისთვის 2 მდე არ დაიწყო ბაო.

ქრონიკა

თბილისი

მაღალ უ-დ სამღვდელო ლეონიდე, მოსაყდრე საქართველოს კათოლიკოზის და მიტროპოლიტი თბილისისა, ღღეს, მარიამობისთვის 20-ს, სიონის ტაძარში სწირავს. ეს პირველი წირვა მისი მიტროპოლიტად გამოცხადების შემდეგ.

◆ წერა კითხვისაზოგადოების მოსამსახურენი ჯამგირების მომატებას თხოულობენ. მათი თხოვნა თუ შეწყნარებულ იქმნა, საზოგადოებამ თვიურად ზედმეტი უნდა გადასდგას 2,912 მ.

◆ ქართული კლუბი შეუდგა მოაწყოს საკუთარი საოპერო დასი ზამთრის სეზონისათვის. დასში მიწვეული არიან ცნობილი საოპერო არტისტები ო. ა. შულგინა, ბრონსკი, ბაკარეცი, სკვარეცკა და სხვ. კლუბის თეატრი შეკეთებულია. ოპერა დაიწყება ენკენისთვის ბოლოს რიცხვებში.

◆ სტიპენდიანტები. ქართულ საოსფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭომ ამ დღეებში გაისტუმრა ბოლხოვის (არიოლის გუბ.) ტყავეულობის საქმის ინსტრუქტორთა სასწავლებელში 2 მოწაფე ზ. ჩხეიძე და კ. გამყრელიძე.

◆ სწავლის განახლების გადადება. კავკასიის სამოსწავლო ოლქის საბჭომ დაადგინა გადაიდვას სწავლის განახლება ქალთა და ვაჟთა სასწავლებლებში, სამასწავლებლო ინსტიტუტებისა და სუმინარიებში ენკენისთვის ოცამდის, მისაღები და აგრეთვე კლასიდან კლასში გადასასვლელი გამოცდა შეგირდებისა დაიწყება ენკენისთვის 11-ს.

◆ ახალი კავშირი. თბილისში შესდგა კავშირი მესაათეებისა, ოქრომჭედლებისა, ამომჭედლებისა და სხვა ამგვარ წვრილმან საქმის პატრონებისა. კავშირის თავმჯდომარედ არჩეულია ი. იანოვსკი, წევრად ბ ნი არჯევანიძე, ხაზინადრებად პაპიაშვილი და ჯანგვალაძე და გამგეობის წევრად ვარდანოვი.

◆ კრება. ღღეს, კვირას, მარიამობისთვის 20-ს, წმ. მარინეს ეკლესიის სკოლის დარბაზში, შესდგება კრება ამავე ეკლესიის მრევლისა, სამრევლო საბჭოს ასარჩევად. კრება კანონიერად ჩაითვლება, რადგანაც მეორედ არის მოწვეული.

◆ მილიციის უფროსმა ბ-ნმა კაჩუხაშვილმა ბრძანება გაუგზავნა მილიციათა კომისრებს, რომ დაუყოვნებლივ სამსახურიდან დაითხოვონ ის მილიციონერები, რომელნიც სამსახურს ემალებიან.

◆ მცირე წლოვანმა მუშებმა საჩივარი მიართვეს მუშათა და სოლდათთა დეპუტატების საბჭოს მუშათა სექციას. მცირე წლოვანნი თვითანი საჩივარში აცხადებენ, რომ ქვის საქმეების მოიჯარადრე მუშული 12 საათს გვამუშავებს ღღეში და მხოლოდ ორ-ორ მანეთს გვაძლევს ღღიურ ქირასო.

◆ ნიხრი. ქალაქის სასურსათო კომიტეტმა შემდეგი ნიხრი დააწესა: ერბო გირვანქა 2 მან. 70 კაპ., ფუთი 100 მან.; კარაქი გირვანქა 2 მ. 50 კ., ფუთი 92 მან., ყველი შეეიცარული გირვანქა 1 მან. 60 კ., გოლანდიური 1 მან. 50 კ., თუშური 1 მან. 10 კაპ., მოთალი 1 მან. 20 კაპ., მწვანე ლობიო გირ. 20 კაპ., პამიდორი 20 კაპ., ახალი კომბოსტო 20 კაპ., კარტოფილი 12 კაპ., ხახვი 12 კაპ., ახალი კიტრი ცალი 5 კაპ., ჩადემული კიტრი ცალი 7 კაპ., ბადრიჯანი წყვილი 5 კაპ., 100 ცალი 2 მან., სახამთრო გირ. 7 კაპ., ფუთი 1 მან. 80 კაპ., ნესვი გირ. 10 კაპ., ფუთი 3 მან.; ატამი გირ. პირველი ხარისხისა 25 კ., მეორე ხარისხისა 15 კაპ., მესამე ხარისხისა 10 კაპ.; ქლიავი გირვანქა პირველი ხარისხისა 40 კაპ., მეორე ხარისხისა 25 კაპ., მესამე ხარისხისა 15 კაპ.; ყურძენი გირ. განჯური 40 კ., ადგილობრივი ყურძენი 25 კაპ.; მახალი პირველი ხარისხისა 40 კაპ., მეორესი 30 კაპ., მესამესი 15 კაპ.; ვაშლი გირ. პირველი ხარისხისა 45 კაპ., მეორესი 25 კაპ., მესამესი 10 კაპ., წვრილი თხილი გირვანქა 25 კაპ., შვინდი 10 კაპ.

◆ ხურსათ-სანოვაგე. ქალაქის სასურსათო კომიტეტს 40 ვაგონი ფქვილი აქვს. კართოფილიც საკმაოდ მოიპოვება თბილისში. კომიტეტმა დიდძალი ერბო იპოვა ციმბირში და უნდა შეეძინა, მაგრამ წამოღება შეუძლებელი იყო და ამის გამო ღარ დაიბეგა. ეისკში 1000 ფუთი ერბო აქვს კომიტეტს შეძენული და ამ დღეებში ჩამოიტანს თბილისში.

◆ ხორბლისა და ქერის რეკვიზიცია. სასურსათო სამინისტრომ კ. ანდრონიკაშვილი გამოგზავნა თბილისში ხორბლეულობის რეკვიზიციის მოსაწყობად. ბ-ნი ანდრონიკაშვილი და სვანიძე თბილისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტმა გორის მაზრაში გაგზავნა ხორბლისა და ქერის სასყიდლად. ერთ ფუთ ქერზე მტკიცე ფასია დაწესებული 5 მან., ხოლო ფუთ სათესლე ხორკალზე 7 მანეთამდე.

◆ სათესლე ხორბლის შეძენა. თბილისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტმა შეიძინა ჩრდილო კავკასიაში 400 ვაგონი სათესლე ხორბალი.

◆ ნაქურდალი საქონელი. ტფილისის ქუჩაზე, ქ-ნ ელ. ასლანოვის სახლში მილიციამ აღმოაჩინა მრავალი ნაქურდალი საქონელი. ყველა ეს საქონელი მიუტანია იქ დეზერტირს ლევან ქარელს, რომელიც ქურდობაში გამოტყდა.

◆ ყალბი ფულები. მარიამობისთვის 18-ს შუა ბაზარში მილიციამ დაატუსაღა 4 ახალგაზრდა, რომელთაც ყალბი ათ შაურიანები აღმოაჩნდათ წინდებსა და ჩუსტებში.

◆ საქართველოს ეკლესიის დროებითი სამმართველოს დელეგაცია მარიამობისთვის 19-ს წარუდგა ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტს და საოლქო ცენტრის თავმჯდომარეს და საქართველოს ეკლესიის საჭიროების შესახებ ეთათბირა. დელეგაციაში იყენენ თავ. ი. აფხაზი, პ. გოთუა და სხ.

◆ ქალაქის სტატისტიკიდან. 1917 წელს ივლისში მოხდარ მთავრობის მიერ მოწყობილ აღწერიდან გამოირკვა შემდეგი: თბილისის მცხოვრებთა რიცხვი ჯარის გამოკლებით უდრის 260 ათასს, ამ რიცხვიდან საარჩევნო უფლებით სარგებლობს 124,276 კაცი. ქალაქს უპირავს 2826 დეს. 2044 ოთხ-კუთხი საე., სივრცე მდ. მტკვრის გასწვრივ ქალაქს სიგრძე აქვს 11 ვერსი. განი 4 ვერსი: სულ ქალაქში 1240 ქუჩაა (მათ შორის შესახვევი, ჩიხი, გასავალი და სხ.) და 23 მოედანი. ქუჩების საერთო სიგრძე უდრის 1800 ვერსს, აქედან მოკირწყლულია მხოლოდ 55 ვერსი; უძრავ ქონებათა საერთო რიცხვი უდრის 15,526, ამათ შორის 3024 საჯაროა. ქალაქს ეკუთვნის სასალახო, წყალსადენი, კანალიზაცია, ელექტრონის სადგური და განათება, ლომბარდი, ცეცხლის ჩასაქრობი რაზმი, საჩქარო დახმარება, მილიცია, ტრამვაი, ქალაქის ცენტრალური პურის საცხობი, ოფიციალი, ფუნიკულიორი. ქალაქი თავის ხარჯზე ინახავს 33 სკოლას, დახმარებას უწევს ქალთა კურსებს, მე-ნ გიმნაზიას, აქვს 4 ბიბლიოთეკა, თეატრი, ავეალისა და ნაძალადევის აუდიტორია, მუზეუმი, ლატაკთა თავშესაფარი, შრომის ბირჟა საავადმყოფო, მშობიარეთა თავშესაფარი, ალექსანდროვის საავადმყოფო, სულით ავადმყოფთა თავშესაფარი, გადმდგენ სენით ავადმყოფთათვის ბარაკები, ამბულატორია 4 განყოფილებით. ომიანობის გამო ქალაქმა მოაწყო ომიანობით დაზარალებულთა დამხმარე ცენტრალური კომიტეტი, ქალაქთა კავშირის კავკასიისა და თბილისის კომიტეტები, ჯარის კაცთა ოჯახების დახმარება და სხ. ქალაქს თვითმართველობის მოსამსახურეთა საერთო რიცხვი 1917 წ. 1 იანვრისთვის უდრიდა 1150, ტრამვაის მოსამსახურეთა რიცხვი უდრის 1200.

◆ თბილისის სახუდიერო ხემინარიის მმართველობა გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ მისაღები და განმეორებითი გამოცდები ღვინოწულ სემინარიაში დაიწყოს 2 ოქტომბრიდამ.

◆ თბილისის სასოფლო-სამეურნეო ბანკის მიმდინარე წლის 6 თვის ბალანსი უდრის 4.378,839 მან. 58 კ.

◆ საგანგებო მასწავლებელნი წ.-კ. გიმნ. სახ. ყალამშვილისა და გიმნ. ოქის სკოლებში, ბორჩალოს მაზრაში. მასწავლებელს წლიურად 720 მ. მიეცემა, ბინითა და მსახურით.

ქუთაისი.

◆ მკვლელობა, დაბრა და მილიციისთვის იარაღის აყრა. სოფ. დიდიჯიხაიშიდან ქუთ. გუბერნიის კომისარს ატყობინებენ: აგვისტოს 16 იქ თავის ბინაზე მოჰკლეს ადგილობრივ ალმას. კომიტეტის თავმჯდომარე, დასჭრეს სტ. დავით ნუცუბიძე და იარაღი აჰყარეს სამილიციო რაზმს.

◆ ტყვიბულის მაღაროები. ტყვიბულის ქვანახშირის დამუშავების გასაფმჯობესებლად და გასაფართოებლად ამიერ კავკ. განსაკუთრებულმა კომიტეტმა საგანგებო კომისია გამოგზავნა.

◆ სამამულო კომიტეტი. ქრთაისში დაარსდა სამამულო კომიტეტი, რომელშიც მონაწილეობას იღებენ: ქალაქის თვითმართველობის, ოლქის სასამართლოს, მუშათა და ჯარისკაცთა წარმომადგენლები. სამამულო კომიტეტის თავმჯდომარეთ არჩეულია ბ-ნი გრიგოლ ურუტაძე. ამავე კომიტეტში ორ-ორ კაცს გამოგზავნიან მაზრის კომიტეტები.

თელავი.

◆ ავტომობილის უბედურება. 16 მარიამობისთვეს, შუალამისას უბედურება დატრიალდა შუშანას ხევში (თელავიდან მეხუთე ვერსზე). თბილისიდან მომავალი გამოქანებული ავტომობილი ხევში გადავარდა, შოფერი მოკვდა, ერთმა მგზავრმა ქალმა ფეხი მოიტეხა და დანარჩენი შიგ მსხდომნი მსუბუქად დაშავდნენ.

◆ მილიცია და ხალხი. 19 მარიამობისთვეს წმ. გიორგის დღეობაში, ერთმა მთვრალმა გლეხმა რევოლვერით დასჭრა კომისარი ე. პაატაშვილი. რა გაიგეს ღვინო ნასვამ მილიციონერებმა, რომ მათი უფროსი დაჭრა, პირდაპირ ხალხს დაუწყეს სროლა და სამი გლეხი დასჭრეს. სამივე ფეხებში ჰრიან დაჭრილები.

საგარეჯო.

25 მარიამობისთვეს სოფ. საგარეჯოში წარმოდგენილი იქნება ალ. სუმბათაშვილის „ლალატი“, ეროვნულ-დემოკრატიულ მოწაფეთა კომიტეტის სასარგებლოთ.

კავკასიის და მუსულმანეთის განწყობილება

ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტს, ამიერ კავკასიის მუშათა, გლეხთა და სოლდათთა დეპუტატთა საბჭოს და მუშათა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ეორდანიას შემდეგი შინაარსის დეპეშა მოუვიდათ ზაქათალიდან: პროვოკაციული ხმების გასაქარწყლებლად, რომელნიც უთანხმოებას ჰბადებენ ქართველთა და მუსულმანთა შორის ზაქათალის ოლქში და სილნაღის მაზრაში, მარიამობისთვის 15 ს ალაზნის ველზე ყრილობა მოხდა სილნაღის მაზრის, ზაქათალის და დაღესტნის ოლქების მცხოვრებთა წარმომადგენლებისა. ყრილობას 300 კაცი დაესწრო. ყრილობის მონაწილეთ ერთმანეთს შეჰფიცეს არ დაარღვიონ კეთილ-მეზობლური განწყობილება, მტკიცედ დაიცვან ერთობა, ძმობა და სდევნონ ყოველგვარი პროვოკაციული გამოსვლა, სადაც იყვეს ეს მოვლენილი. ყრილობის დადგენილება ეცნობოსთ სარევოლუციო ორგანიზაციებს.

პახეთში

(3—10 ივლისს)

(გაგრძელება*)

საღამოს მეოთხე საათი იყო რომ მივედით რკინის გზის სადგურზე და გავეჭერდით ნიგვზის ხის ჩრდილში. თვით სადგური ჯერ შენდება. ვიდრე ჩამოიღლიდა მატარებელი, გამოვეგზავნეთ ერთ კაცს. მან სხვათა შორის მითხრა, რომ მუკუზან-კალაურს გადალმა და ბერემს გადმოლმა მთებში არისო დიდებული ძველი ნაშთი—ყოვლად წმინდის საყდარი ანუ მარტივად—ყოველად წმინდა. გმირულმა შენობაო და აწ ოხრად დაგდებული. ასეთივე ცნობა მის შესახებ მომცა ბერემში ალექსი აბესაძემ, მაგრამ უგზოობისა გამო ჩვენ იქამდე ვერმივაღწიეთ.

ძალიან კარგს იზამდნენ მისადევრისა და მოსადევრის მოძღვრები, რომ შეიძენდნენ თითო ფოტოგრაფიას და თავ-თავის მისადევრის ნაშთების სახეებს ყოველ მხრივ გადაიღებდნენ და თითო-ოროლა ცალს გამოუგზავნიდნენ საეკლესიო მუზეუმს. შესანიშნავი ძეგლები დღითი-დღე იმუსრებიან და უპრიანია, რომ მათი სახე მაინც შეგვრჩეს ფოტოგრაფიის ფირფიტაზე და ან აღწერილობაში, რომელსაც ადვილად შეასრულებენ მღვდლებივე ფოტოგრაფიულ, სურათების გადაღების დროსვე. როდესაც გვანგრევს დრო-ჟამიცა და მტერ-მოყვარეც, მაშინ სიმცონარეს ადგილი აღარ უნდა ჰქონდეს ჩვენ შორის. იღვიძებდით და და იმხნევებდით. მხნემან და მღვიძარემან განხვრეტოსო მთა და გორაო.

გუგუნით და გრიალით სადგურის ბაქანს მოადგა მატარებელი. ჩავლაგდით ვაგონებში. ჯერ ისევ მანამდე ისმოდა პრელი ლაპარაკი და ახლა ამ სიჩუმეემ უმატა.

— კნიაგინა, თქვენ ცინონდალში მიბძანდებით?

— დიაღ. დნია დვა ია ტამ პროგუდუ, მერე ტელავში ავალ, ტიოტიას სანახავად.

— ქალო, უნდა გეთქო თელავში და არა ტელავში!

— მაშ თქვენც უნდა გეთქოთ წინანდალი და არა ცინონდალი!

— დალახროს ღმერთმა ჩვენი დრო, რომ ერრე გადაგვაბრა და ღვიძლენის სწავლა ხელახლა გვიხდება.

ვაჩნაძიანში მოგვემატნენ თეთრ პეპელებივით თეთრად გამოწყობილი ქალები.

— სლავა ბოღუ. ძლივს არ ვამოვახწიეთ ახირებულ ხოზიაკებს!

— მაგიორ რამდენი სვეი გეკჩატლენიე მივიღეთ.

— ლალისფერი კახეტინსკოე ყველა თქვენ ვეკჩატლენიებს მეჩრენა. ეი ოჩენ პატარაპილის. იქ უნდა დავრჩენვილიყავით კიდევ.

— უ გიგუცი პრეკრასნი გლაზა, მაგრამ ცხვირი ოტვრატიტელენ.

— ეგრე ბრელად რათ ლაპარაკობთ, როდესაც ქართული რუსულზე კარგა იცით. ამმობენ, ეხლა აღკრძალულიაო ეგრეთი ლაპარაკი, ჯარიმას ახდევინებენო...

• მივეღით „თელავში“, მაგრამ თელავამდე კი ჯერ იყო კიდევ 3—4 ვერსი. მთავრობა აიკლეს საყვედურით: რკინის გზის სადგურები დააშორეთო ტფილისს, ქუთაისს და სხ. ქალაქებს; და დახეთ, პირველობა ამ დაშორებაში ხვდათ თვით ქართველებს: ტფილისიდამ საგარეჯომდე არც ერთი სოფელი არ არის რკინის გზის ნაპირზე, იმას იქითაც აგრეთვე კაპრეთამდე. სიღნაღიც განზეა დარჩენილი. ს. დგურიდამ თელავამდე რომ წახვიდე ან თელავიდამ სადგურამდე, მეეტლეები გზარკავენ 2—3 4 მანათით! რა საჭირო იყო ესეთი ხარკი, როდესაც თუ ცოტა შელმართ დაეპირათ ლიანდაგი, რკინის გზა მინდორ-მინდორ მიეიდოდა ნადიკვრ-თელავამდე. ახლა კი მგზავრი არა თუ ხდილობს საეტლო ხარკს, არამედ იხრჩობა იმ მტვერის ბურუსში, რომელიც დგება ეტლების გავლის გამო სადგურ „თელავიდამ“ თვით ნამდვილ თელავამდე.

ცოტა შეგისვენეთ თელავის საჩაიეში. ეს თელავის სასეირნო ბაღის გაყოფილებას შეადგენს. თვით ბაღი აკრავს შუმბერაზულ შენობას, ერეკლეს ციხეს. მასშია მისივე სასახლე, აწ საქალებო სასწავლებლად გადაკეთებული. უნდა გვენახა ის ოთახი, რომელშიაც სული განტევა გმირმა მეფემ, მაგრამ წყვეტილ-ბრეფენილიყო იქაურობა და ... უკანეკნელ უკანეკნელი ციხეს შემოვუარეთ, შევედით მასში, ავადგეთ სასულიერო სასწავლებელს და მერე დამე გავათენეთ სასტუმრო „ეს პერანტაში“. მის ეანის (ბალკონის) წინ სომხის ეკლესიაა ციხეზე მიბჯენილი. ციხისვე ბურჯის თავზე მიუკოკლებია სამრეკლო. ახალი ძველს ისე უხდება ვით ძროხას ფუნაგირი. ნეტა რა საჭირო იყო ყოფილის ასეთი წაბღალვა!

ეანაზე ვისვენებდი, რომ ამოვიდა ალ. ბარნოვი. გავიხარეეთ დიდის ხნის ერთ-ურთის უნახავ მეგობრებმა. მეორე დღეს რიეერაეზე გავწიე შუამთისკენ. სულ 6½ ვერსია იქამდე. გზა მიდის ჯერ ქალაქზე, მერე სოფელ ვარდისუბანზე, და მდინარე თურდოს პირის ტყეთ შედის მონასტერში.

ტფილისის ხრიოკებიდან წასულს შუამთის ბიბინა ეზო-ყურე მისის შენებულობითა და გარეშემო მაღლა აყრილ ტყეთ ჩვენ დაგვესახა ამ ქვეყნიურ სამოთხედ. არსად ჩვენში ეგრეთი ლამაზი, მწყაზარი და შემკული სავანე არ მეგულება.

დაბურულ ტყის გზით ადიხარ მაღლას ტაფობზე. ეს არის მონასტრის გალავნის გარეთი ვრცელი ეზო, კაკლებით დაჩრდილული. იქვე გადმოსჩქეფს წყარო. მარცხნივ სახილნაროა და საფუტკრე, წინ—თვით მონასტრის ეზო, გალავან შემოვლებული და ლამაზ სასახლეებით მოწყობილი. სამხრეთის მხრივ აღიმართება მაღალი გუმბათიანი საყდარი თინათინისა.

ეს თინათინი იყო ასული მამა გურიელისა და მეუღლე კახთ მეფის ლევანისა (1520—1574 წ.). ამისაგან ლევანს ეყოლა ალექსანდრე და იესე. მერე მეუღლენი გაიყარნენ. ლევანმა ცოლად შეირთო ფადისნის შაჰლის ქალი, რომლისაგან მიეცნენ გიორგი, ილიმურზა, ვახტანგი და ხოსრო. თინათინი მოლოსნად შედგა, და ააშენა ეს შუამთის საყდარი საოხად ღვთისმშობლისა. ამას ჰმოწმობს თვით საყდრის ხახულის ხატის ასომთავრული წარწერაც: „ქ: ჩრდილოდ: მთად: კლდედ: კალმნად: და: ტრაპეზ: ბეჭდ: დაკრძალულად: კვერთხად: ალყაევებულად: მოგასწავებდა: შენ: წინასწარმეტყველნი: ლთისა: დედათ: ქალწულო: ფბიწო: მცა: ეკმადგენ: ეშმარტად: ღვთის მშობლად: იესუს: ძირით: ადმოსულო: ქალწულო: შენგან: შობილსა: მეუფესა: ესრეთ: არქუ: გიყვარ; თუ: ტკბილო: ძეო: ჩემო: ისმინე: მაშკობსა: ჩემსა: მეფესა: ლეონს: და: თანამეცხედრესა: პატრონსა: დედოფალსა: თინათინს: ნუ: დასჯი: რაქ: ძმ: განიკითხვიდე: კაცთა: შეევამეტეთ: ხატი: ესე: ხახულისა: ღვთის მშობე : მეფობისა: ჩვენისა: წარსამართებელ: და: სულისა: ჩვენისა საკურად და: ძეთა: ჩვენთა: სადღეგრძელოდ: ან: ან:“.

თვით თინათინი ჰმარხია ჩრდილოეთის კარის წინ კედლის ძირს. დაკარგული წარწერა ეპ. კირიონს გაუახლებია ასრე: „აქა მდებარეარს გვამი კახთა მეფის ლევანის მეუღლის თინათინისა, ამა მონასტრის აღმაშენებლისა. 1519—1534“.

მაღლა დასავლეთის კედელზე მოჩანს თვით მხატვრობა თინათინისა და მეფე ლევანის და მათის ძისა. ხელები მიპყრობილი აქვთ საყდრის გეგმისკენ. სვეტებსა და თაღზე მოჩანს სხვა ნახატებიც.

შესავალი კარების თავ-ქვაზე: „მკლესია ყოვლად შობისა (?) აღშენებული სანატრელთა ხსენებულის დედოფლის თინათინისა დაძველებულ და დაქცეული და ლორფინითგან განმარტული კვალად მეფემან სრულიად ქვემოის. საქართველოსამან მეორემან ჰერაკლიმ მრძანებითა და საფასთა წარგებითა გუბათით მოკიდებით სამხროებით“...

ამავე ირაკლის შეუწირავს მონასტრისთვის ვერცხლის კანდელი, ბარძიმი, ფეშხუმი, ოთხი ხოლელი 1758 და 1763 წლებში.

საყდარში ჰმარხია მგოსანი ალექსანდრე ჭავჭავაძე (+6 ნოემბ. 1846 წ.). მის საფლავის ქვაზე: „მარად საუვიწყოდსა სიმამრისა სამარესა დავადევ ფიქალი ესე მთავარმა დავით დადიანმა“. აქვე ჰმარხია მისი ძე დავით ჭავჭავაძე (1818—1884 წ. 15 იანვ.).

ცნობილ სერაპიონ კიკნაძეს საფლავის ქვაზე: ლოდსა ამას შინა ქვეშე აკლდამა და მას შინა განისვენებს ამიერ სოფლით გარდაცვალებული მღვიმონაზონი სერაპიონ კიკნაძე ოზ წლისა მონასტრისა ამის ნამსახური. შობიდგან 90 წლისა გარდაიცვალაო. ეს მიეგება ბროსეს 1847—8 წელს. ამანვე შეასწავლა ანბანი რაფიელ ერისთავს.

ამასობაში ჩამოირეკა. ზარის ბმა

*) ი.ხ. „საქართველო“ № 181.

იწვევდა ბერებს საძმო სადილზე. მეც მიმიწვიეს. წარსთქვეს ლოცვა, ეპისკ. პიროსმა აკურთხა სუფრა. მავიღეთ მცირე, მაგრამ გემრიელი და სრულიად საკმარი საჭელი. ეს მეორედ ვსადილობდი ამ მონასტერში. პირველად 1880 წელს. მაშინ წინამძღვარი მიტროფანე მახვილაძე მოტრაპეზეთ ნებას არ აძლევდა კრინტი ხმა დაიძრათ სადილის დროს, ამას მოითხოვსო ძველებური მონასტრული წესი. ახლა-კი ეპ. პიროსი და მისი ბერები ტკბილ და ზრდილობიან ლაპარაკს იზიარებდნენ. სუფრა დასრულდა ლოცვითვე.

ამ სასადილო პალატის ზემო სართულში დგას ეპ. პიროსი. ოთახები მშვენიერად მოწყობილი აქვს, ერთში მოთავსებულია მისი საკუთარი ბიბლიოთეკა, საცა მუშაობს, ადგენს სახელმძღვანელოებს და სხ. მის ჟანიდან (ბალკონიდან) იშლება დიდებული სურათი კავკასიონამდე. ამისთანა მომხიბლავ სურათის მაყურებელი მაღე გამგონსნდები-თქო, გავუხუმრე. ეზოს მეორე კუთხეშია სუფთა და ლამაზი ორ სართულიანი სასახლე. იგი თავის ხარჯით აუგია კეთილს ბერს ნიკოლოზს და თვითონ შიგ ცხოვრობს.

იმავ დღეს მე და ბერი არჩილი წავედით ძველს შუამთაში. ორ ვერსამდეა მთა-მთა. საგლეული გზა, ტყის ხეივანს ქვეშე. ძველი შუამთის მონასტერი წარმოადგენს თავისებურ შენებულობას: სამი მორჩილი საყდარი ჩამწკრივებულა რიგზე ერთ-ურთის კარიკარ ისე, რომ შორიდან შეხედვით ერთ შენობად ეჩვენება კაცს. მათშია ცხრა საწყრველო. უმთავრეს ლამაზს საყდარს აქვს დაბალი გუმბათი. თაღი დამსკდარა, დაზიანებულა ჩრდილოეთის კარებზე, გარედან, აქეთ და იქით აქვს გამოხატულობა ღვთის მშობლისა ყრმით და მთავარ ანგელოზნებისა. შეგვდით შიგ და ჩვენ თვალს წარმოუდგა საშინელი სურათი ბარბაროსულ ოხრებისა: წინ ტყარა ნამტვრევები ახლად დალეწილ კანკელისა, მის საკვირველად ნამუშევარ ნაზ სვეტებისა, საოცარ ჩუქურთმ-ქანდაკებათა. იქვე საკურთხევლის ლოდზე ეგდო თავ-მოკვეთილი მთლიანი ქვის გეგმა საყდრისა. თუ წმ. ნაწილების საბურავი. საყდარი და მისი სამალავი ფრთები და კუთხე-კუნჭულები მთლად დათხრილი იყო, კედლებზე ნახშირით, ფანქარით, სადგისით წარწერილი იყო ათასი და უამრავი სახელები მინსვლელ-მომსვლელთა. ყოველ ჰეროსტრატს წაუწერია თავისი გვარი, რომ საუკუნო ჰყოს მისი ხსენება. დაჩხაპნილია თვით მშვენიერი ნახატები კედლებისა ძველის წარწერებით: წმ. გრიგოლი, წმ. ბასილი, წმ. ნიკოლოზ, წმ. პავლე. ჩვენს კითხვაზე, მამა არჩილმა, ამ მონიერმა და გულკეთილ ბერმა გვიამბო: ეს ბარბაროსობა ამ ორიოდე დღის საქმეა. წინა კვირას აქ ვიყავი და კანკელი ისევ ცოცხალი იყო, წარწერით: დმერთო, შეიწყალე ცოდვილი ალავერდელი ბერსენი. სვეტებიც თავის ადგილას იყო, გეგმაც მთლიანად, მხოლოდ დათხრილობა ძველადგანვე შენიშნული გვქონდა. სოფლელები, მწყემსები აქ ეძებენ უწინდელ საუნჯეს. მიტოვებულ მონასტრის უნუგეშო მდგომარეობას ყურადღება მიაქცია ჯერ ისევ ეპისკ. კირიონმა, შეაბა კერები, კედლებში ამოსული ხეები გადააკაფვინა, შემოამაგრა. შემდეგ იზრუნა ეპ. დავითმაც, აუშენა საყარაულო და დაუნიშნა ბერი, მაგრამ ღამის რაინდებმა არ მოასვენეს ეს ბერიც, დეაცნენ არა ერთ გზის, გაუღვაწეს სადგომი, ალარ დააყენეს. ეხლა, როგორც ხედავთ, საყარაულო ოხრად ჰგია. არ აკლებს ზრუნვას აწინდელი ალავერდელიც, ეპისკ. პიროსი, მაგრამ ყოველი ცდა, როგორც ხედავთ, ამაოდ რჩება. ხალხის უმეცარ ნაწილს არ ესმის საეროვნო ძეგლთა კულტურული ნიშვნელობა და ანგრევს მათ უწყალოდ და მათ მცველ—მპატრონებელ ბერებსაც ხშირად აბუჩად იგდებსო.

მამა არჩილის გოდება შეეხება არა მარტო კახეთს, არამედ მთელ საქართველოს. საკმაოა კაცმა ნახოს ბეთანია, უფლისცხე და სხვ. ადგილების ძეგლები, რომ დარწმუნდეს მ. არჩილის ნათქვამის სიმართლეში. ინგლისში, გერმანეთში, ბელგიაში და სხ. განათლებულ ქვეყნებში შუამთისთანა ძეგლებს ერი ეპყრობა მოწიწებით, როგორც თავის წარსულ ცხოვრების მაჩვენებელ სარკეს, ამაგრებს მათ, ყარაულს უყენებს, ჩვენში კი თურმე, როგორც მითხრეს, ერიან ნაძირალები, რომელნიც ხალხს უქადაგებენ, საყდრები ალარ გვინდაო, შიგ ბაქონელი უნდა შევრეკოთო და სხ. მაგრამ განა საყდრები, როგორც ძეგლები, დაჰკარგავენ თავიანთ მნიშვნელობას, თუნდაც ქრისტიანობის მაგიერ შემოვიდეს ახალი მოძღვრება? არა საყდრები მაშინაც არ გადაიქცევიან ბოსლებად, არამედ იქნებიან თუნდ ზნეობის სასწავლებელ სახლებად.

დალეწილი ნაპრები რაოდენათმე დავალაგეთ, შიგნიდან და გარედან კიდევ დავათვალიერეთ ოხრად შთენილი შესანიშნავი ძეგლები, ვნახეთ მისი სამრეკლოც, რომლის ქვეშ აგრეთვე მოთავსებული ყოფილა ცალკე ეკლესია, დავათვალიერეთ ტაძრის ეზოც მისის მარნით (12-მდე ქვევრი დავთვალეთ ნახევრამდე წყალ-ამოვსებული). და მონასტერში დავბრუნდით. ეპისკ. პიროსმა უკვე განკარგულება მოახდინა დაშთენილი საარქეოლოგიო ნაშთები შუამთისა (საყდრის გეგმა, სვეტები, ქანდაკიანი ქვები და სხ.) გადმოიტანონ ახალ შუამთაში და აქედგან გამოუგზავნონ საეკლესიო მუზეუმს. ამ მუზეუმშიცვა მისი კაკლის კარები, გაკეთებულ მე-XV—XVI საუკუნეში, წარწერით: „ღმერთო, შეიწყალე პაატი რაშგულ, ესე კარი მან ქნა. წმიდაო ღმერთო და ყოველად წმიდაო, შეიწყალენ მოძღვარი ნიკოლოზ და ხურონი მიქელ და დემეტრე. წმ. ღმერთო, შეიწყალე ბუმუკური შიო. ამინ“. კარზე გამოჭრილია ჯვარი, თვითონაც მოკრეულებულია. ეპ. კირიონმა გამოუგზავნა მუზეუმს.

(შემდეგი იქნება)

მ. ჯანაშვილი.

კორესპონდენცია

ქ. გუმრიდან

ქ. გუმრში დღიდან ქართ. სამხ. კავშირის კომიტეტის დაარსებისა მოსვლენება ალარ არის და ვინ იცის რამდენ ჭორებს არ ავრცელებენ ამაზე. მაგრამ იჭორიკანონ. ჩვენ ყველას პასუხს გავსცემთ და მომავალი მათ ასეთ თავხედობას შესაფერისათ დააფასებს.

როცა ადგილობრივ ქართ. სამხ. კომიტეტს ცნობა მოუვიდა, 20 მარიამობისთვეს თბილისში ქართველ მხედართა დელეგატების ყრილობის მოწვევის შესახებ, იქონია გამგეობამ კრება და მუშათა და სალდათთა საბჭოს ოფიციალური ქადალდით მიმართა, რომ ნება დაერთოთ გუმრის გარნიზონის ქართველი ჯარის კაცების ყრილობის მოწვევის შესახებ, რათა ამ ყრილობაზე ეთათბირათ საჭირბოროტო საკითხებზე და აერჩიათ დელეგატები თბილისში გასაგზავნათ, მაგრამ აქაც გაჩნდნენ მტრები ქართული საქმიანობისა და საბჭოს თავმჯდომარეს ქადალდზე კრების უარისყოფა მოაწერიეს.

ამ საქმის ჩაშლაში ისევ ქართველებს მიუძღვის წილი. და როდის იქნება, რომ ქართულ საქმიანობას საფუძველი ჩაეყრება და ამ საქმიანობის გარშემო მთელი ქართველი ხალხი შეგოიკრიბება!..

—

საქმიანობა არ ემჩნევა არც ქართ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ადგილობრივი განყოფილების გამგეობას.

ადგილობრივ ქართველ მცხოვრებლებს, მხოლოდ ამ ერთად ერთი ეროვნული საქმისთვის მოუკიდებიათ ხელი და ისიც უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფება.

სამკითხველო, რომელიც უნდა იყვეს თვალსაჩინო ადგილზე, რომ ყველას შეძლება ჰქონდეს შეიაროს და ჟურნალ-გაზეთები წაიკითხოს,—გაუხსნიათ სადღაც მიყრუებულ-მივარდნილ ადგილზე.

სამკითხველოს არ ეკარება მკითხველი და ვინც მიდის მასაც გამგე სამკითხველოში არ ხვდება და ისევ უკან უხდება დაბრუნება. გამგეობას დღემდის ისიც ვერ მოუხერხებია, რომ სამკითხველოს გამგე აიძულონ განსაზღვრულ დროს სამკითხველოში იყვეს და თავის საქმე შეასრულოს.

სამკითხველოს მოსდის ჟურნალ-გაზეთები, არის წიგნებიც, მაგრამ ვერავინ ვერ სარგებლობს. აღსანიშნავია აგრეთვე ერთი ფაქტი: სამკითხველოში ვერ იხილავთ ვერც ერთ ნუმერს ძველი გაზეთებისას, რაც დიდ საჭიროებას შეადგენს დღეს მკითხველი საზოგადოებისათვის, სად მიდის ეს გაზეთები?

დასასრულ კარგი იქნება ადგილობრივი განყოფილების გამგეობა ყურადღებას მიაქცევდეს ამ გარემოებას, გამონახავდეს შესაფერ ადგილზე სამკითხველოსთვის ბინას და გამგეთ დანიშნავდეს საქმის მოყვარულ კაცს.

ნ. ა—ნი.

სოფ. მეჯვრისხევიდან

სოციალ-დემოკრატთა „დიკტატორობა“ გრძელდება სოფლად. 11 მარიამობისთვეს აქ მოხდა ფრიად სამწუხარო მოვლენა. ათ აგვისტოს, სოც.-ფედ. დავ. პარკაძემ წაიკითხა ლექცია მიწის საკითხზე, რომელზედაც ხალხი ბლომად დაესწრო. ლექცია შინაარსიანი და დასაბუთებული გამოდგა, ამასთანავე ხალხური გასაგები ენით იყო და დამსწრეთ მხურვალე ტაშის-ცემით დააჯილდოვეს ლექტორი. ლექციის შემდეგ გაიმართა კამათი, მაგრამ რადგანაც სოც.-დემოკრატების საქმე ცუდათ მიდიოდა, მათ მოითხოვეს კამათის გაგრძელების გადადება მეორე დღისთვის. მეორე სალამოს პირველად ლაპარაკობს აქაური კომისარი, იგივე თავმჯდომარე, ილია რუხაძე (ს.-დემ.); რომელიც ყოველგვარ ხრიკებს და დემაგოგობას არ ერიდება. გარშემოუდგნენ თავისი კაცები, რომლებიც ყოველ მის სიტყვაზე „მართალია“, „მართალია“-ს გაჰყვიროდნენ. მის შემდეგ ადის სოც.-ფედერალისტი სტუდ. მაისურაძე, მაგრამ რადგანაც გაიგეს კოშისრის თანაშემწეებმა და ძმათა მისთა, რომ მოლაპარაკე სოც.-დემოკრატი არ არის, მაშინვე უყვირეს „ძირს“-ო. მიუხედავად იმისა, რომ ბ-ნ მიხ. ვახ. მაჩაბელმა, დავ. პარკაძემ და ნადირაძემ განუმარტეს ხალხს, რომ შეუძლებელია სიტყვის აკრძალვა, მაინც მაისურაძეს არ ადირსეს, რომ ელაპარაკა. ამის შემდეგ სოც.-ფედ. და სოც.-რევ. წარმომადგენელნი იძულებული იყვნენ პროტესტით წასულიყვნენ. რასაკვირველია, სოც.-დემოკრატებსაც ეს უნდოდათ და წინადადება მისცეს კრებას მიეღოთ სოც.-დემოკრატების რეზოლიუცია მიწის შესახებ. მიაღებინებდნენ კიდეც, მაგრამ ამ დროს ჩაერია მ. მაჩაბელი, რომელმაც უკანონოდ სცნო ასეთი მათი საქციელი, ვინაიდან მომხსენებელს თავისი უკანასკნელი სიტყვა არ უთქვამს. მ. მეჩაბელმა უთხრა ხალხს, რომ მარტო სოც.-დემოკრატები და ფედერალისტები კი არ არსებობენ, არამედ არსებობენ ეროვნულ-დემოკრატები, რომელნიც კერძო საკუთრებას მთელი არსებით იცავენ, კერძო საკუთრების დებულებას აღვიარებენ. მან აღნიშნა, რომ ყოველივე გულხი გულში მაინც ეროვნულ-დემოკრატია, რადგანაც ის იცავს კერძო საკუთრებას და არავის უბრალოდ არ დაუთმობს კერძო საკუთრებას. მაჩაბელს ხალხი გულდასმით უსმენდა.

საწყალ და დაბეჩავებულ გლეხ-კაცობას თითო „აპეკუნი“ და „კეთილი მზრუნველი“ არ აკლდება. ისედაც მოშხამულ ატმოსფერას ჩვენებური დასელები სწამლავენ. გვეყო მათი დიქტატორობა. ახლა დროა გავიგონოთ თვით ხალხის ნამდვილი ხმა!

მეჯვრისხეველი.

თელავიდან

შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა და დ. ლუკაშვილი

თელავის შემ.-გამ. ამხანაგობის წლიური კრება, რომელიც მოხდა 9 მკათათვეს, მაგრამ დაიხურა ისევ და გადაიდო შემდეგისთვის მხოლოდ იმისთვის, რომ ამ ხანაგობის წევრთა დიდი უმრავლესობა თხოულობდა ისევ დ. ლუკაშვილის გაყვანას თავმჯდომარედ, სულ მცირე ნაწილი კი დიდი წინააღმდეგი იყო ამისი. ორი-სამი პირის ჩაგონებით რომ არას გზით არ გაეყვანათ დ. ლუკაშვილი თავმჯდომარეთ რისთვის ეწინააღმდეგებოდნენ მის თავმჯდომარეობას ამის მიზეზები კი არა ჩანდა. დანამდვილებით იმის მაგიერ რო ზოგიერთნი გაიძახოდნენ შიგა და შიგ თითქოს ლუკაშვილს გაეფლანგოს ამხანაგობის ფულები, ეტყუებიოს ხალხი ათასგვარ დაპირებით და პროპაგანდა ეწიენოს ხალხში, რომ ისევ ის მოეთხოვნათ თავმჯდომარეთ და სხვა და სხვა. მაგრამ ეს ლაპარაკი არაევისა სჯეროდა, რადგანაც დიდი ნდობა ჰქონდა დამსახურებული ხალხისგან ლუკაშვილს როგორც ამხანაგობის პირველ დამაარსებელს და საქმის რიგიანათ წამყვანს. მე მგონია თვით მისი მოწინააღმდეგენიც დამეთანხმებიან, რომ ლუკაშვილი ძალიან კარგათ აწარმოებდა თავის საქმეს და არც არაფერი ზარალი უნახავს ამხანაგობას მის ხელში რამდენიმე წლის განმავლობაში. ბოლოს ხომ ისე გადონიერდა, რომ თითქმის ყველა პროვინციულ შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობებზე მაღლა დადგა რაც გაზეთებშიაც კი იყო გამოცხადებული თავის დროს. ეი ყველა ამან ისე იმოქმედა ხალხზე, რომ სულითა და გულით შეიყვარა დ. ლუკაშვილი დიდმა და პატარამ, ქალმა და კაცმა, მოქალაქემ და სოფლელმა, რომლებმაც დაქონებით მოითხოვეს 9 მკათათვის კრებაზე ისევ ლუკაშვილი. ასტეხეს აურ-ზაური და მანამდის არ დაშალნენ ვიდრე კრება არ გადაიდო სხვა დროისთვის. დიახ კრება გადასდეს მაშინ ერთმა მუჭა ლუკაშვილის მოწინააღმდეგეებმა. მაგრამ მარტო ეს არ აკმარეს და გადასახლება გადაუწყვიტეს ამ სამი კვირის წინ და გააძევეს კიდეც თელავიდან, როგორც ხალხის ამრევი პიროვნება, ნამდვილათ კი უფრო იმისთვის მე მგონია, რომ თავიდან მოეშორებინათ ვიდრე ხალხს მიავიწყდებოდა ლუკაშვილი და ალარ მოიკითხავდნენ მეორეთ დანიშნულ კრებაზე მაგრამ არა ხალხმა არ დაივიწყა თავიანთ მიდებულ-შეყვარებული ადამიანი და უფრო მძლავრად გაისმა ხმა 13 მარიამობისთვის კრებაზე: „სად გაძევეთ დ. ლუკაშვილი რა დაგიშავათ საიმისო, მოგვეცით ისევ ჩვენი თავმჯდომარეო“. ჯერ კანტი-კუნტად ისმოდა ეს ხმები დილით შემდეგ უფრო შეჩოჩქოლდა ხალხი და ყველა ლუკაშვილს კითხულობდა თუ სად გააქრეს ესე სასწრაფოთ ყველას უკვირდა, როცა გაიგეს რომ წინა სალამოს მოსულიყო კრებაზე დასასწრებლად, მაგრამ ისევ დეეჭირნათ თავის სახლში შუალამისას და ის კი არავინ იცოდა დაჭერილი სად დამალეს ან სად გააპარეს.

საქმე ასე იყო: როგორც გადმომცეს ლუკაშვილზე ისე იმოქმედა უსამართლოდ აქედან გაძევებამ, რომ დაავადმყოფდა კაცი, ნერვები მოეშალა და თითქმის მოლად მოუძლურდა, თბილისში იყო, მაგრამ იმის გული ისევ თელავის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობისკენ იყო მიპყრობილი მოუთმენლად ელოდა რა ბრალს დასდებდნენ მოწინააღმდეგენი ან რით იმართლებენ თავს იმის გაძევებაზე ხალხის წინაშე. როცა კრება მოხდებოდა და და გიგო თუ არა გაზეთის საშუალებით, რომ 13 მარიამობისთვეს იყო დანიშნული კრება, გულმა ალარ მოუთმინა და 12 მარიამობისთვეს გამოსწია თელავისკენ თავის გასამართლებაზე დასასწრებლად, რომ თავის ყურით მოესმინა რა ბრალსა სდებდნენ ის თანახმა იყო თუ დამნაშავე იქნებოდა დეესაჯნა ხალხს. აი ეს იყო მისი თელავისკენ გამომგზავრების ფიქრები, მაგრამ ჩამოვიდა თუ არა და გაიგეს მოწინააღმდეგეებმა მისი ჩამოსვლა მაშინვე შესძახეს არიქა. მოსულა ჩვენი მურვანინო. მაშინვე დაფაცურდნენ და შუადამისას ავადმყოფს მძინარეს თავს დაასხეს მილიციონერები, რომლებსაც ნაბრძანები ჰქონდათ თვალყური ედევნებინათ არსაე გაჰპარულიყო, ცოტა ხნის შემდეგ მივიდა მასთან თელავის კომისარი და გამოუცხადა რომ მოეთმინა დილის სამ საათამდე ვიდრე ეტლს მიიყვანდა და წაიყვანდა სადაც უბრძანებდნენ. დაპატიმრებულმა სიტყვა ნება მიეცათ ან თითონ წასულიყო თელავის მაზრის კომისართან ორიოდე სიტყვის სათქმელათ ან ის მიეყვანათ მასთან. ეს არ შეუსრულეს. შემდეგ ითხოვა თავის დის სახლში მაინც ჩაეყვანათ. ეს-კი შეუსრულეს, გაჰყვნენ მილიციონერები ალაპარაკეს თავის დასთან და შემდეგ ისევ წაიყვანეს სახლში, სადაც ალოდინეს დილის სამ საათამდე. მაშინ ძლივს მივიდა მასთან ერთი მილიციონერი და გამოუცხადა შეგიძლიან მოისვენოთ ეხლა ვიდრე ჩვენ ამოვალთო და წავიდნენ იმის სახლიდან. რა დარწმუნდა ცოტა ხნის შემდეგ ლუკაშვილი რომ იქ ალარავინ იყო არ ჩაცა ისევ თავის ნებით. გასცლოდა თელავს ვიდრე დაჭერილს წაიყვანდნენ. ცოტა ხნის შემდეგ მივიდნენ მის სახლში მილიციონერები, მაგრამ იქ ალარავინ დაჭვდათ დაუწყეს ძებნა აქა-იქ მაგრამ, ვეღარსად იპოვნეს უდანაშაულო დამნაშავე და ხელ-ცარიელები დაბრუნდნენ.

ეხლა ორიოდე სიტყვით არ შეშინიან კიდევ არ უსაყვედურო შემნახველ-გამს. ამხ. გამგეობას მაზეედ, რომ კრება გამართეს იმისთვის ყველა წევრი დასწრებოდა როგორც კაცი ერთეთვე ქალიც, მაგრამ ნამდვილად ასე არ იყო. გამოცხადებული იყო ვისაც წიგნაკი ჰქონდა ამხანაგობისა ის შესულიყო კრებაზე; ამისთვის ორი კაცი იდგა კარებში. ვისაც თან წამოიღო წიგნაკი უშვებდენ, გლეხობას ვისაც დავიწყებოდა ან ვერ გაეგო თუ კრება იყო და ამის გამო წიგნაკი თან არა ჰქონდა არ უშვებდნენ. ეს კიდევ არაფერი. საქმე ის იყო რომ ვინც ჯარის კაცთა ცოლები იყვნენ წიგნაკებით ხელში, რომელთაც ქმრები ომში ჰყავთ გაგზავნილი არც იმათ უშვებდნენ კრებაზე, თქვენი ქმარი უნდა მოიყვანოთ ჩაწერილი ის არისო და ყველას უკან აბრუნებდნენ.

მე მგონია ეს დიდათ შემცდარი აზრია, რომ ომში წასული კაცის ცოლს სრული უფლება ეძლევა გაიხადოს ქმრის გამოტანილი ვალი და იმის ნებას-კი არ აძლევენ, რომ კრებაზე დეესწროს და გაიგოს აზხანაგობა ზარალობს თუ იგებს.

კრებამ საღამომდე გასტანა ანუ უკეთ რომ ვთქვათ აურ-ზაურმა ლუკაშვილის გამო. ბოლოს ხალხმა მოითხოვა უკანასკველად რომ ეთხოვნათ თბილისის კომიტეტისათვის ლუკაშვილის თანადასწრებით მომზდარიყო კრება. ეს მოთხოვნილება სთხოვეს ომში შეეტანა კრების თავმჯდომარეს, მაგრამ იმან ამის საპასუხოთ კრება დახურულათ გამოაცხადა და დასტოვა დარბაზი. მაშინ ხალხმა სხვა ამოირჩია თავმჯდომარეთ და დაადგინა ამის შესახებ ყველამ რომ თხოვნა გაიგზავნოს თბილისის ალმასრულებელ კომიტეტში. და როცა ისინი ნებას მისცემენ დ. ლუკაშვილს კრებაზე დასწრებისას მხოლოდ მაშინ მოხდეს წლიური კრება.

ამხ. ერთი წევრთაგანი.

რედაქტორი გრიგოლ ვეშაპელი.

ამიერ-კავკასიის რკ. გზის

ადგილობრივი ბიბლიოთეკა

(ფონდი წარმენებია ბიბლიოთეკის)

ადგილობრივ გაფრენა:

ბაკურიანისკენ	სად.	№ 8,	11.08	დილ.
„	სამგზ.	№ 9,	11.43	საღ.
ბორჯომისკენ	სამგზ.	№ 19,	3.20	დღ.
„ „		№ 17,	8.27	დილ.
გორისაკენ	სამგზ.	№ 61,	9.10	დილ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	9.20	ღამ.
„	სამგზ.	№ 8,	3.54	დღ.
„	სად.	№ 4,	8.28	საღ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-8,	11.12	საღ.

ოფოლიანში ჩამოვიდა:

ბაკურიანიდან	სამგზ.	№ 10,	7.51	დილ.
„	სად.	№ 4,	8.38	საღ.
ბაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.45	დილ.
„	სამგზ.	№ 18,	10.12	საღ.
გორიდან	სამგზ.	№ 62,	6.34	საღ.
ბაქოდან	სად.	№ 3,	10.08	დილ.
„	სამგზ.	№ 7,	4.12	საღ.
„	ჩქარ.	№ 5,	10.40	საღ.
ყარს-ჯულფ.	სად.	№ 3[illegible],	8.10	დილ.

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

კომერციულ ცოდნათა

კურსები

ტ. მ. ფილოფიანისა

ორივე სქესისთვის

(თბილისი, მიხეილის პროსპ. № 24, ტელ. № 976).

თხოვნები მიიღება: 4—5 საათ. საღამოთი. მეცადინეობა დაიწყება 15 სექტემბერს. პროგრამები და წესდებანი მსურველთ გაეგზავნებათ, ან მიეცემათ უსასყიდლოთ კურსების კანცელარიაში.

თ—734—3

მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ ხალხოლიტიკო და სალიტერატურო ქუთაისის გაზეთზე

1917 წ. **ჩვენი ქვეყანა** 1917 წ.

გაზეთის ფასი: წლიურათ 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 1 მან. და 50 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათაც გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5, სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მანეთი და დანარჩენიც სექტემბრის დამლევამდი.

რედაქციის მისამართია: ქუთაისი, თბილისის ქ. სოფ. მიქელაძის სახ., კანტორა დიაა: დილით 9—2 საათ. და საღამ. 5—8-მდი.

რედაქტორი დ. ყვირკელია.

1917 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

„ნაკადულ“-ზე

ფელიეტონი მეთოდიანი

ჟურნალი „ნაკადული“ გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ

24 წიგნი „ნაკადული“-სა მცირე წლოვანთათვის. **12** წიგნი „ნაკადული“-სა მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის 1-ლ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—5 მან. იმათთვის, ვინ ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 მან. ნახევარ წლით—3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის **24 წიგნი** 3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ. მოზრდილთათვის **12 წიგნი**—3 მან. გაგზავნით 3 მ. 50 კ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ფოსტისთვის: Тифлисъ Головинскій пр., 8. შემოსასვლელი დავითის ქ. № 2 დაწვრილებით ჟურნალში. რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე**

გამომცემელი თ-დ **პავლე იოსებიხ-ძე თუმანიშვილი.**

(291—47)

საავადმყოფო

სამხედრო ძალის სპეციალისტებისა მოსალოდნელი ამბულატორიებისთვის:

დიდი ვანქის ქუჩა № 3. ალექსანდრეს ბაღის ახლო, ტელეფონი 431.

ავადმყოფობის მიღება: დილის 10 საათიდან 5 საადამდე.

ბელანეე—ბავშვთა შინაგან ავადმყოფობისა. დებულობს 10—12 ს. ყოველდღე.
ბეინაცი—თვალის ავად. 2—3 საათ. ორშაბათობით და ოთხშაბათობით.
ახპახოვი—ყელის, ყურის და ცხვირ. 1—2 საათ. ორშაბათ. და ოთხშაბათ.
ფირადოვი—ქირურგ. ავად. 12—1 საათამდე.
მონსე—ბავშვთა შინაგან ავად. 1—3 საათამდე ყოველ დღე.
ჩუდნოვსკი—შინაგან და ნერვიულ ავად. 12—1ს ათ. ხუთშაბ. და კვირაობით.
ბეგზადოვი—ქალთა და საბებიო ყოველ-დღე 2—3 საათამდე.
იოსელიანი—ქალთა ტ საბებიო ავად. დებულობს ორშ., ოთხშ. ტ პარ. 11—12'.
ნარიმანოვი—ვენერიული ავად. ყოველ-დღე 10—11 საათამდე.
დეკანოზოვი—ქალთა ავად. სამშაბათ. ხუთშაბ. და შაბათობით 12—1 საათ.
ტროიცკაია—ქალთა და ქირურგ. ავად. ყოველდღე ქირურგ. 2—3 საათამდე. ქალთა ავადმყოფ. 3—4 საათამდე.
ბაგდოევისა—კბილის ექიმი ყოველ-დღე 3—5 საათამდე.
ადიხანოვისა—კბილის ექიმი ყოველ-დღე 10—12 საათამდე.

100—667—41

თევზის მრეწველი

ძმ. ალეგველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 112.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სხვაგვარ სახლ. „ლ. ბაბლოვის-ზაბა, [illegible] ბრეწველობებიდან ახალი ქვირითის ხაშიდალა, მწიერ მარილიანი, შავი „ბ[illegible] შიბნა“ ხიშიდალა. მიიღეთ საუკეთესო სადიანის შაბალები მუდმივ გვაქვ ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზღვისა, თარეთი, ფარგა და [illegible], გვაქვს აგრეთვე მოლუბული ყოველგვარი კონსერვები და სარდინები [illegible] (ფ.)